მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასკომის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამს. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

დღეს

- ამერიკაში დადის ხმები, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი კელლოგი გადადგება.
- ჩინეთის სახალხო არმიამ მოიგერია ჩან-ძო-ლინის ჯარების შეტევა.
- მუკდენში გაფიცვები დაიწყო.
- იტალიაში დიდმა გრიგალმა გადაიარა.
- ლიტვა ილაშქრებს პოლონეთისათვის ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის დათმობის წინააღმდეგ.

სამშაბათი, 9 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 54 (1509)

1926 წლის 20 მარტს საქ. მ | გ. ინსპექციის შენობაში
(რუსთაველი, 24, მესამე სართული)

დანიშნულია

საქართველოს კომ. პარტიის
ცენტრალური საკონტროლო კომისიის
— პლენუმი —

დასწრება ც. ს. კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

ს. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისიის თავმჯდომარე ა. დოლიძე.

მუშაობის გაღრმავებისაკენ

(პროფკავშირების ყრილობის გამო)

გუშინ გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა მორიგი ყრილობა. ყრილობის წინაშე გადაიშლება პროფმოძრაობის უდიდესი მიღწევები ჩვენში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს კავშირის წევრთა სწრაფი **რიცხვობრივი ზრდა**. 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის მათი რიცხვი უდრიდა 111.342-ს, 1925 წლ. იანვრისათვის—117.396-ს, 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის 129.347-ს, ამ ჟამად იგი უკვე აღწევს 135 ათასს. ეს ციფრები თავის თავად მეტყველობენ. აშკარად სჩანს, ერთი მხრივ, ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო აღორძინება, მრეწველობის, ვაჭრობის, სასოფლო მეურნეობის გადიდება-გაფართოვება, რამაც გამოიწვია მათში დაბანდებულ მუშა-ხელის რაოდენობის ზრდა, მეორე მხრივ—პროფკავშირების წარმატებითი მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შეკავშირების დარგში.

ეს მუშაობა სწარმოებდა არა მარტო სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში, არამედ პროვინციებშიაც, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა, სოფლად ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გაშლასთან დაკავშირებით, ჩვენს წინაშე დგას **მოჯამაგირე გლეხების** ორგანიზაციის ამოცანა. 1924—25 წლის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილ მოჯამაგირეთა რიცხვი 4.914-დან ავიდა 12.159 კაცამდე, კოლექტიური ხელშეკრულებები გავრცელდა 7.668 კაცზე, წინანდელი 2.030-ის მაგიერ, გაფართოვდა მოჯამაგირეთა კომიტეტების ქსელი და სხ.

დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე მუშა - მოსამსახურეთა **მატერიალურ კეთილდღეობის** აწევის დარგში. მათი ახლანდელი ხელფასი 6-ჯერ და 7-ჯერ მეტია, ვინემ მენშევიკების დროის 1920 წლ. მრავალ დარგებში მივაღწიეთ ომის წინანდელ ხელფასს, ზოგიერთებში კიდეც გადავაცილეთ მას. უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში მუშების ხელფასი გაიზარდა 35—40 პროც.

დიდი ნაბიჯებია გადადგმული მუშა - მოსამსახურეთა **სოციალურ დაზღვევის** სფეროში. 1924 წელს დაზღვეული იყო 98.962 კაცი, 1925 წ.—კი 112.228, რომელთა დახმარების ნორმა გადიდებულ იქნა 67—120 პროცენტით. ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიქცეული კავშირის წევრთა დასვენების საქმეს. დასასვენებელ სახლებში 1924 წ. გაიარა 3.985 კაცმა, ხოლო 1925 წ. 5.731 კაცმა. ფართედ იყო მოწყობილი საკურორტო დახმარებაც. 1924 წ. გაიგზავნა კურორტებზე 1.111 კაცი, 1925 წელში კი 1.611.

პროფკავშირები ნაყოფიერ **კულტურულ** მუშაობას აწარმოებდენ საკავშირო მასსას შორის. ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, კლუბები, ლექციები, ექსკურსიები, მუშფაკები, გამომცემლობა და სხ.—ასეთია შინაარსი ამ მუშაობისა. წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი მინიმუმამდე დაყვანილია და უდრის 4—5 პროცენტს.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა ამ მიღწევებს (მაგ. საბინაო მშენებლობის, მუშათა კოოპერაციის, შრომის დაცვის და სხ. დარგებში); ყველგან მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული.

მაგრამ აქ არ შეგვიძლია ხაზგასმით არ ავღნიშნოთ ყველაზე უფრო საყურადღებო მომენტი ჩვენს პროფმოძრაობაში: ვლაპარაკობთ მასიურ მუშაობის გამოცოცხლებაზე პროფკავშირებში, ჯანსაღ დემოკრატიის გატარებაზე პროფორგანიზაციებში. მასსა აქტიურ მონაწილეობას იღებს პროფკავშირების მუშაობაში, ყველა იმ საკითხების გარჩევა-გადაჭრაში, რომლებსაც ცხოვრება აყენებს ჩვენი პროფმოძრაობის წინაშე. ამასთან გაფართოვდა პროფაქტივის რიცხვი, რომელიც დღეს უდრის კავშირის წევრთა შემადგენლობის 10 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ ძირითად პროფორგანოების უკანასკნელ არჩევნებში მონაწილეთა პროცენტი 80-მდე ავიდა. წამოიზარდნენ ახალი აქტიური ძალები, რომელნიც ებმებიან პროფკავშირების სახელმძღვანელო მუშაობაში.

მიღწეული შედეგები მეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან შემდეგში პროფმუშაობის უფრო გაღრმავება-გაფართოვებისათვის და იმ ნაკლოვანებათა ასაცილებლად, რომელნიც კიდევ შესამჩნევია პროფკავშირებში.

პირველ რიგში აქ სდგას ამოცანა დემოკრატიის განმტკიცებისა, მასების უფრო მჭიდრო დაკავშირებისა პროფკავშირებთან, რათა უკანასკნელნი ნამდვილად გახდენ კომუნიზმის მასიურ სკოლად. ამ მიზნით მუშაობის ცენტრი უნდა იქნას გადატანილი ფაბრიკა-ქარხნებში. ამასთან პროფმუშაობაზე უნდა იქნენ წამოყენებული ახალ-ახალი მუშაკები. საჭიროა ყურადღება უნდა მიექცეს პროფაქტივის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კვალიფიკაციის აწევას და მას შორის მუშაობის სწორ განაწილებას, რომ მან პირნათლად შესძლოს მასზე ხელმძღვანელობის გაწევა.

შემდეგ: როგორც ავღნიშნეთ პროფკავშირების წევრთა რიცხვი გაიზარდა. საჭიროა ამ დიდძალი არმიის, კერძოდ ახალი წევრების, მომზადება. დიდი მნიშვნელობა აქვს პროფდისციპლინის და კერძოდ შრომის დისციპლინის აწევას მასებში. შრომის ნაყოფიერების კამპანიამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ამ ბოლო დროს ამ მხრივ ისევ შემჩნეულია ერთგვარი მერყეობა, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ამასთან დაკავშირებით სდგას საკითხი მუშების საწარმოო კვალიფიკაციის აწევის შესახებ, რისთვისაც ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული საწარმოო თათბირები. კვალიფიკაციის საკითხის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში, რადგან უმუშევართა მეტი წილი მოკლებულია რაიმე დახელოვნებას და ამიტომ ისინი ვერ შოულობენ სამუშაოს. ამ გზით და სხვა საშუალებებით ბრძოლა უმუშევრობასთან შეადგენს პროფკავშირების ერთ-ერთ ამოცანას.

უდიდესი ყურადღება ისევ უნდა მიექცეს კულტურულ მუშაობას. კერძოდ კლუბების ორგანიზაციის საქმეში მტკიცედ უნდა გატარდეს დემოკრატიის პრინციპი.

მუშა - მოსამსახურეთა მატერიალურ ინტერესების დაცვა შემდეგშიაც, ცხადია, უნდა შეადგენდეს პროფკავშირის მიზანს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ხელფასის მასიურ მომატებაზე ჯერ-ჯერობით ლაპარაკი შეუძლებელია; ამის საშუალებას არ იძლევა სამეურნეო მდგომარეობა. რესპუბლიკის ეკონომიკის შემდეგში განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების აწევისაგანაა დამოკიდებული მუშების ნივთიერ კეთილდღეობის უფრო აწევა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბრძოლის საჭიროება პროფკავშირების თანხების გაფლანგვასთან, რასაც აქა-იქ კიდევ აქვს ადგილი.

ამ ამოცანების გადაჭრას პროფკავშირები შესძლებენ მასების თვითმოქმედების და აქტივობის ზრდით, დემოკრატიის პრინციპის ბოლომდე გატარებით, მასებთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებით. ამ გზაზე კარგა ხანია დგანან ჩვენი პროფკავშირები. ამ გზით ივლიან ისინი შემდეგშიც კომპარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოს პროფკავშირების მიღწევები და ამოცანები

გუშინ მოხდა სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის გახსნა. დღეს იგი შეუდგება საქმიან მუშაობას.

ამ ყრილობის, როგორც ყველა სხვა ყრილობის, მიზანი არის ჯამი გაუკეთოს საქართველოს პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ შესრულებულ მუშაობას უკანასკნელ, მე-4 ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში, შეამოწმოს ის გზები, რომლითაც მიდიოდენ პროფკავშირები, გაითვალისწინოს მათი მომავალი მუშაობა და დაგვანახვოს მიღწევები და დეფექტები.

რა შედეგებით წარსდგებიან საქართველოს პროფკავშირთა საბჭო და პრეზიდიუმი პროფკავშირთა ოცდაათიათასიან წევრის წარმომადგენლების—დელეგატების წინაშე ამ მეხუთე ყრილობაზე?

უკანასკნელ ყრილობის შემდეგ განვლილი დრო განსაკუთრებულია პროფესიონალურ კავშირებისათვის იმ ახალ საკითხების და მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელიც ცხოვრებამ დააყენა ჩვენს წინაშე.

საჭირო იყო პროფკავშირთა მუშაობის ძველი მეთოდების და ფორმების არა მარტო გაუმჯობესება, არამედ იძულებული ვიყავით ზევრ ასეთ მეთოდებსა და ფორმებზე უარი გვეთქვა, გვეძებნა და გამოგვენახა ახალი გზები და გადაგვეყვანა პროფმოძრაობა ახალ რელსებზე.

თავის მუშაობის ამ მეტად მძიმე ნაწილში, საქართველოს პროფმოძრაობას აქვს უეჭველად დიდი მიღწევები და წარმატებანი.

საკავშირო დემოკრატიაზე მტკიცედ გადასვლამ, რაც ჯერ-ჯერობით სავსებით და ყველგან არ არის გატარებული, მიგვიყვანა იქამდე, რომ პროფკავშირები გახდენ მუშათა კლასის ნამდვილი მასიური ორგანიზაციები, რომლებშიაც უკანასკნელი ხედავს თავის ეკონომიურ ინტერესების მთავარ დამცველს და ყველა თავის საჭიროებათა და მოთხოვნილებათა გამომხატველს—და ამავე დროს იგი თავს სთვლის თავის ორგანიზაციის სრულ ბატონ-პატრონად.

ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ პირველად საბჭოთა სინამდვილეში პროფკავშირთა არსებობის 5 წლის განმავლობაში, საქართველოს პროფკავშირთა წევრების 80 პროც. აქტიურ და უშუალო მონაწილეობას იღებდა თავის დაბალი საფეხურის საკავშირო ორგანოების არჩევნებში, საქმიან სერიოზულ კრიტიკას უწევდა იმათ, ვისაც მათ მიანდვეს წარმომადგენლობა და თავისი ინტერესების დაცვა და აძლევდა მტკიცე დირექტივებს, როგორ უნდა აწარმოვონ მომავალში თავიანთი მუშაობა.

რესპუბლიკანურ ყრილობების და სამაზრო კონფერენციების მუშაობა სწარმოებდა განსაკუთრებული აქტივობის და საქმიანობის საფუძველზე.

პროფკავშირთა საბჭოს ხელმძღვანელობით და ფხიზელი მეთვალყურეობით საქართველოს პროფორგანიზაციები მტკიცედ და სისტემატიურად ანხორციელებდენ ლოზუნგს—„ახლოს მასებთან“.

გატარებულია გაერთიანებულ და ჯგუფურ ფაბრიკა - ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების დეცენტრალიზაცია, და უკანასკნელები მოწყობილი არიან ყველგან, სადაც ეს შესაძლებელი იყო.

ამან საშუალება მისცა პროფკავშირებს უფრო მჭიდროთ დაკავშირებოდენ მათში გაერთიანებულ მასებს და იქიდან დაეწინაურებიათ დაბალი საფეხურის საკავშირო აქტივის ახალი ფენები. სულ 15 თვის განმავლობაში, 1924 წ. ოქტომბრიდან 1926 წლის იანვრამდე, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების რიცხვი მხოლოდ ქ. თბილისში გაიზარდა 246-დან 365-დე, ხოლო არჩეულ წევრთა რიცხვი მათში—1195-დან 1808-დე., 51 პროცენტით.

დიდი მიღწევები გვაქვს პროფკავშირთა ფინანსიურ მდგომარეობის დარგში. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ დეფიციტიან ცენტრალურ გამგეობათა რიცხვი შემცირდა 8-დან (1924 წ.) 3-დე (1925 წელს), საკავშირო თანხების ხარჯვა უფრო გეგმიანად და მიზანშეწონილად ხდება.

კავშირების მიერ გაწეული ხარჯები საკავშირო მასის პირდაპირ და უშუალო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვნად გაიზარდა, სამაგიეროდ შემცირდა აპარატის შესანახავი და პროფორგანიზაციების ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები.

პროფკავშირთა მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელ პროფორგანიზაციების ცოცხალი კავშირი თავის დაბალი საფეხურის უჯრედებთან. დაწვრილებითი გამოკვლევის, კონკრეტიულ დირექტივების სისტემას და პროფკავშირთა საბჭოს და ცენტრალურ გამგეობათა მუშაკების მიერ ადგილების ხშირად ნახვას ნორმალური ხასიათი მიეცა.

განსაკუთრებით დიდი მუშაობაა ჩატარებული სოფელთან ახლოს მდგომ კავშირებში. კავშირების გავლენის ქვეშ მყოფ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მუშების რიცხვი უდრის 19.821 კაცს, 1924 წელს კი იგი უდრიდა 8.038 კაცს. მოჯამაგირეთა კომიტეტების რიცხვი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 19-დან 62-დე, არჩეულ წევრთა რიცხვი მათში 106-დან—338-დე, ხელშეკრულებით გაერთიანებულ მოჯამაგირეთა რიცხვი—2.030-დან—7.668-დე. სოფლის ინტელიგენცია, განსაკუთრებით, მასწავლებლობა, ეწევა აქტიურ და ხასარგებლო საზოგადოებრივ მუშაობას სოფლად.

უდავოა მიღწევები კულტურულ მუშაობის დარგში. ჩვენ უკვე გვყავს კლუბების 25.000 წევრი, რომელნიც ეწერებიან კლუბში ნებაყოფლობით და ხალისით და იქ ხედავენ დასვენების და გართობის ადგილს მუშაობისაგან თავისუფალ დროს. კლუბები მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული და თანდათან აუმჯობესებენ თავის მუშაობის მეთოდებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პროფკავშირთა საბჭოს საგამომცემლო მუშაობაც. უკანასკნელ წელს გამოცემულია სულ 24 სხვადასხვა ახალი წიგნი—47.000 ეკზემპლიარი—პროფესიონალური ლიტერატურა. აქედან 12 წიგნი 27.000 ც. ტირაჟით ქართულ ენაზე. ამან საგრძნობლად გაუადვილა მუშაობა კავშირთა წევრებს, განსაკუთრებით, მისი აქტივის შორის.

კავშირთა წევრების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში აგრეთვე გვაქვს დიდი მიღწევები. თუ ავიღებთ საშუალოდ განაკვეთს 1-ლ ხარისხისათვის სატარიფო ხელშეკრულებათა მიხედვით 1925 წ. 1 იანვარს და 1926 წ. 1 იანვარს, დავინახავთ, რომ უკანასკნელი გაიზარდა 15,4 პროცენტით, ხოლო ცალ-ცალკე კავშირებში ეს პროცენტი გაცილებით მეტია (მბეჭდავების—20 პროც., აღმშენებლების—24 პროც., რკინისგზელების—27,4 პროცენტით და სხვ.). სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიც გაიზარდა—პროვინციაში 11 პროცენტით, თბილისში—47 პროცენტით.

იმ სამრეწველო მუშების ხელფასი, რომელნიც გადავიდენ მუშაობის ნარდ სისტემაზე, გაცილებით მეტია და საშუალოდ უკანასკნელ წელს შეადგენს 30,2 პროცენტს.

კოლექტიურ ხელშეკრულებით დაქირავებულ წევრთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 62.801-დან 89.437-დე.

დაზღვეულთა რიცხვი გაიზარდა 98.962 კაციდან 1924 წელს 112.228 კაცამდე 1925 წელს. აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელი წლის განმავლობაში მატერიალურ დახმარების რაოდენობა, რომელიც დაზღვეულებს ეძლევათ.

ამნაირად, ბევრია მიღწევები და წარმატებანი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროფკავშირთა მუშაობაში მარტო მიღწევებია და დეფექტები მასში არ მოიპოვება. დეფექტებიც ბლომადაა, და სწორედ ამ მხარეს უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ყრილობამაც და ყველა პროფკავშირებმაც.

ყველა პროფორგანიზაციების მთავარ ამოცანას შეადგენს გაბედული ბრძოლა ისეთ დრომოჭმულ ტრადიციების და ჩვეულებების წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უშლიან პროფკავშირთა სწორ მუშაობას: საკავშირო დემოკრატიზმის გატარება, კავშირთა წევრების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ყურადღებით მოპყრობა და მათი მაქსიმალურად დაკმაყოფილება, — ყველაფერი ეს შეადგენს პროფკავშირთა ძირითად და არსებით ამოცანას.

ეს ამოცანები უნდა შეასრულონ პროფკავშირებმა და ვიმედოვნებთ, რომ კიდეც შეასრულებს.

გ. ყურულაშვილი.

ბრიანის დამხობა

ბრიანის კაბინეტის დამხობა, რაც დეპეშებმა გვაუწყა, არ იყო მოულოდნელი. იგი შეიწირა ფინანსიურმა კრიზისმა, რომელმაც არა ერთი მთავრობა თუ ცალკე მინისტრი იმსხვერპლა.

ფინანსთა მინისტრ დუმერის კანონპროექტმა ვერ დააკმაყოფილა ვერც „რადიკალური“ წრეები, ვერც ნაციონალური ბლოკი. დუმერის პროექტით, საფრანგეთის 1926 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 4 მილიარდ 300 მილიონ ფრანკს; ამას უნდა მიემატოს 2000 მილ. ფრანკი საემისიო ბანკის მიერ ხაზინისათვის გაცემულ სესხის დასაფარავად და 2.500 მილ. ფრანკი შინაური სახ. ვალის გასასტუმრებლად. სულ გამოდის 8.800 მილიონი ფრანკი. ეს თანხა გამოძებნილი უნდა ყოფილიყო შემდეგნაირად: საშემოსავლო გადასახადის გადიდება 3.000 მილ. ფრანკი; 300 მილ. ფრანკი—დამატებითი შემოსავალი გადასახადებიდან, თუ მკაცრი ზომები იქნებოდა მიღებული მათი მთლიანი აკრეფისათვის; საბირჟო ოპერაციების გადასახადის გადიდება—100 მილ. ფრანკი; თამბაქოზე, შაქარზე და ნავთზე—სახ. მონოპოლიის შემოღებით მათზე ფასების აწევა — 1.000 მილ. ფრანკი; სააქციზო გადასახადი—600 მილ. ფრანკი; გადასახადი აღებ-მიცემობაზე — 3.800 მილიონი ფრანკი.

საშემოსავლო გადასახადის გადიდება, რა თქმა უნდა,. მიუღებელია მსხვილი ბურჟუაზიისათვის; არც სახ.. მონოპოლიის პრინციპს ურიგდება იგი, ვინაიდან ამით მას აკლდება მოგების მნიშვნელოვანი წყარო და სახელმწიფოს ხელში გადადის. აღებმიცემობაზე ამოდენა გადასახადის დაწესება მთლიანად მომხმარებელს აწვება, ვინაიდან ფაქტიურად მას მოუხდება მისი გაღება, და არა კერძო კაპიტალს, რომელიც ამ გადასახადს მომხმარებელზე გადაიტანს.

საფინანსო კომისიამ და შემდეგ პალატამ უარყვეს დუმერის კანონპროექტი. პალატის „მემარცხენე“ ნაწილმა გაილაშქრა უმთავრესად აღებ-მიცემობაზე გადასახადის შემოღების წინააღმდეგ, რადგან მას შეეშინდა ფართე მოსახლეობის, რომლის თვალში იგი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. აღსანიშნავი კი აქ ის არის, რომ ამით საბოლოოდ დაიშალა ე. წ. მემარცხ. ბლოკი, რომლის წარმომადგენელი იყო ბრიანის მთავრობა. ამ ბლოკის მემარცხენე ნაწილი გამოეთიშა თავის მემარჯვენე ფრთას.

ბრიანი არ შედრკა. მან პალატას გადააბიჯა და თავისი პროექტით წარსდგა სენატის წინაშე. ეს იყო დარღვევა კონსტიტუციის, რომლის მიხედვით სენატში არ უნდა იქნას გადატანილი პალატის მიერ უარყოფილი კანონპროექტი. სენატმა იგი დაადასტურა, რა თქმა უნდა, იმ მოსაზრებით, რომ მოახერხებდა მსხვილი ბურჟუაზიისათვის მიუღებელ კანონების (საშემოსავლო გადასახადის გადიდება, მონოპოლიის შემოღება) ფაქტიურად გაუქმებას.

დღეს კიდევ სხვა რამ ირკვევა. როცა კანონპროექტი კვლავ დაისვა პალატაში, სწორედ მემარჯვენეებმა დასვეს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი მიტომ,რომ დუმერმა პრინციპიალურად შესაძლებლად დაინახა სახელმწ. მონოპოლიის შემოღება. აქ აშკარად სჩანს ნაციონალური ბლოკის რთული მანევრი. მან ჯერ დაშალა მემარცხენე ბლოკი და შემდეგ ბრიანის კაბინეტსაც სამარე გაუთხარა. ბრიანის წინააღმდეგ გაილაშქრეს არა მარტო სოციალისტებმა და რადიკალებმა, არამედ მემარჯვენეებმაც. ნაციონალური ბლოკი ცდილობს შექმნას უმრავლესობა მემარცხენე ბლოკის მემარჯვენე ნაწილთან ერთად და ილტვის ძალა-უფლებისაკენ. მემარცხენე ბლოკი შეიქნა მსხვერპლი თავისი შინაგანი უილაჯობის.

ეხლა ძნელია იმის თქმა, თუ ვინ ჩაუდგება მთავრობას სათავეში, თუ როგორი პოლიტიკური კომბინაციები შეიქმნება. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ბრიანის დამხობის საერთაშორისო შედეგები, კერძოდ თუ რა მნიშვნელობა ექნება ამას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების მსვლელობისათვის. ჩვენ არა ერთხელ აღვვინიშნავს, რომ ამ ორი მხარის შეთანხმების სიძნელის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მუდმივი პოლიტიკური კრიზისი საფრანგეთში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა დღეს იმდენად რთულია, საბჭოთა კავშირთან დაახლოვება მისთვის იმდენად საჭიროა, რომ მთავრობის შეცვლა საფრანგეთში უარყოფით გავლენას ვერ იქონიებს ხსენებულ მოლაპარაკებაზე; ეს მით უფრო, რომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მილიერანის ჯგუფმა ეხლავე ჩაიგდოს ძალაუფლება. საფრანგეთის არა მარტო მუშათა კლასი, არამედ ფართე მოსახლეობა მის გაბატონებას ვერ მოითმენს.

X.

ავსტრიის მუშათა დელეგაციის დეკლარაცია

საქართველოს მუშებს და გლეხებს

საქართველოს მუშათა კლასის ურყევი ნებისყოფა პროლეტარიატის საერთაშორისო მთლიანობისათვის—უდავო ფაქტია. წითელ ჯარის ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობა ქართულია და სამხედრო სწავლებაც ქართულად სწარმოებს.—რუსეთის წითელი ჯარი იმყოფება საქართველოში, როგორც მოკავშირე შეიარაღებული ძალა და არას შემთხვევაში როგორც მჩაგვრელი.—ვინც ავრცელებს ხმებს საქართველოს ჩაგვრის შესახებ, ის ან არ იცნობს საქართველოს მდგომარეობას, ან დაბრმავებულია სიძულვილით მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისადმი.—მრეწველობის ყოველ დარგში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ზრდას.—ქართველმა ემიგრანტებმა დაჰკარგეს ნდობა არა მარტო მუშებსა და გლეხებში, არამედ ინტელიგენციაშიც. ავსტრიის მუშათა კლასი გაიგებს სიმართლეს საქართველოს შესახებ.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია, რომელიც თბილისში ჩამოვიდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხუთი წლის თავის დღესასწაულის დღეს და რომელმაც თითქმის ერთი კვირა დაჰყო საქართველოში, დღეს სტოვებს საქართველოს ტერიტორიას. თბილისში ჩამოსვლისას ავსტრიის დელეგაციას წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება დასწრებოდა საქართველოს პროლეტარიატის დემონსტრაციას თბილისში. ეს დემონსტრაცია, რომელიც დილიდან დაღამებამდე არ შეწყვეტილა და რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 100.000-ზე მეტი პროლეტარი და მოქალაქე, ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება.

ჩვენ ვისურვებდით, რომ ყველა იმათ, ვინც გაიძახის ტერორზე, რომელიც თითქოს სჩაგრავდეს ქართვ. ხალხს, დაენახათ, რანაირი აღფრთოვანებით გამოხატავდენ ეს მასები თავის სიყვარულს და ნდობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ქართველი ხალხი, რასაკვირველია, ასეთი სიხარულის გრძნობით არ აღნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლის თავს, რომ ის დამონებული ყოფილიყო, რომ მას ეს ხელისუფლება მართლაც განუწყვეტლივ სჩაგრავდეს და ზიანს აყენებდეს მის ნაციონალურ გრძნობას.

მაგრამ, გარდა ასეთი სიყვარულისა, თავისი საკუთარი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, საქართველოს პროლეტარიატის გულში ცოცხლობს სერიოზული მისწრაფება მუშათა საერთაშორისო მოძრაობის მთლიანობის განხორციელებისაკენ.

ვინც ჩვენსავით ნახავდა ურიცხვ დროშებს წარწერებით: „გაუმარჯოს პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობას!“ „გაუმარჯოს მუშათა კლასის ხელისუფლებას მთელს მსოფლიოში“!,—ის უსათუოდ იგრძნობდა, რომ პროფკავშირთა მთლიანობა წარმოადგენს საქართველოს მუშათა მასების ღრმეს სურვილს, და არა კომუნისტური პარტიის ფრაზები პოლიტიკას, როგორც სჩვევიათ [illegible] ლაპარაკი უცხოეთში.

[illegible] ლობს არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის, არამედ აგრეთვე მოქმედების სრული თავისუფლებით ნაციონალურ დარგში,—ამაში დელეგაცია დარწმუნდა შემდეგ დღეებში, როცა მან სხვადასხვა ეროვნებათა სკოლები დაათვალიერა. დელეგაციამ ინახულა ქართული, სომხური და გერმანული სკოლები. დელეგაციამ თვალსაჩინოდ დაინახა, რომ ყველა სკოლებში და ყველა ეროვნებათათვის არსებობს სრული თავისუფლება და უზრუნველყოფილია განათლების მიღება მშობლიურ ენაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის უნივერსიტეტი, სადაც 7.000 ქართველ სტუდენტს ასწავლიან ქართულ ენაზე და სადაც 250.000 ტომიანი ბიბლიოთეკაა მათ განკარგულებაში.

კულტურის დარგში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართული ენა არის არა თუ სახელმწიფო, არამედ გაბატონებული ენა ლიტერატურაში, კლუბებში, თეატრალურ ცხოვრებაში და სხვ. ამასთან ერთად ეროვნულ უმცირესობასაც სრული უფლება აქვთ თავის ენაზე იქონიონ დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენლებთან და გამოიყენონ ის ყველა შემთხვევაში.

იმისათვის, რომ შეემოწმებია უცხოეთში გავრცელებული ხმები, თითქოს საქართველოს სჩაგრავდეს რუსეთის საოკუპაციო არმია, რომელიც სასტიკად ავიწროებს ყოველგვარ ნაციონალურ მოძრაობას,—დელეგაციამ შეკრიბა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორია ნაციონალური შემადგენლობა წითელ არმიაში. დელეგაციამ გამოარკვია, რომ საქართველოს წითელ არმიას სავსებით ნაციონალური ხასიათი აქვს. ეს იმაში გამოიხატება, რომ სამხედრო სწავლა ქართულად სწარმოებს, საკომანდო შემადგენლობა ქართულ ენაზე სწავლობს; გარდა ამისა, მთელი ამიერკავკასიის არმიის სარდლის მოადგილე და თბილისის გარნიზონის უფროსი—ქართველები არიან. მართალია, საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად და იმის გამო, რომ წითელი არმია წარმოადგენს საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკების საერთო ორგანიზაციას, საქართველოში იმყოფებიან რუსეთის მცირერიცხოვანი სამხედრო ნაწილებიც. მაგრამ ლაპარაკიც შეუძლებელია იმაზე, რომ მათ შეეძლოთ ქართველი ხალხის ჩაგვრა, არა მარტო რიცხვობრივი სიმცირის, არამედ მათი აშკარა კლასობრივი ხასიათისა და იმის გამო, რომ ისინი შეგნებულად ემსახურებიან მუშათა კლასს.

ყველა ზემოაღნიშნულ ფაქტების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი ხმები ქართველ ხალხის ეროვნულ ჩაგვრის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება და რომ ყველა ერები საქართველოში სარგებლობენ ეროვ.-კულტურულ თავისუფლებით. ის, ვინც წინააღმდეგს ამტკიცებს, ან არ იცნობს საქართველოს თანამედროვე მდგომარეობას, ან დაბრმავებულია სიძულვილით საქართველოს მუშურ-გლეხური ხელისუფლებისადმი.

საქართველოს მუშები და გლეხები სარგებლობენ იმავე უფლებებით, რითაც სარგებლობენ მთელი საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები. პროფკავშირებში და საბჭოთა დაწესებულებებში მთელი ხელმძღვანელობა ქართველი მუშების ხელშია. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, უმეტეს შემთხვევაში, შესდგებიან უპარტიო და ყოფილ მენშევიკებისაგან, რომლებმაც აღიარეს თავიანთი ძველი შეცდომები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ეხლა მონაწილეობას იღებენ საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ აღმშენებლობაში.

მაგრამ არა მარტო საქართველოს მუშათა კლასი სდგას ერთგულად საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზედ, არამედ აგრეთვე მუშურ-გლეხური ახალგაზრდობაც მტკიცედ და შეურყევლად იცავს არსებულ მთავრობის სისტემას. ამას ამტკიცებს ის მდგომარეობა, რომ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირში შედის 50.000 კაცი. ჩვენ დავესწარით საქართველოს ახალგაზრდობის ყრილობას და მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის სხვადასხვა წარმომადგენლების სიტყვებიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა მთავრობა და პროფკავშირები ყოველმხრივ ზრუნავენ პროლეტარული ახალგაზრდობის კულტურულ და სოციალურ აღზრდაზე და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საბჭოთა საქართველოს მეურნეობის ყველა დარგები აღორძინების გზაზეა. დაწყებულია მთელი რიგი ფაბრიკების აშენება მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. ნაწილი ამ ფაბრიკებისა უკვე დამთავრებულია.

ელექტრო - სადგურები ქვეყნის ელექტრონის ენერგიით უზრუნველსაყოფად, როგორც მაგალითად—სადგური თბილისის მახლობლად, რომლის აგებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილი გაიღო საკავშირო მთავრობამ, ქუჩები, ხიდები და ჰიდრო-ტეხნიკური მოწყობილობანი მოწმობენ, საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი უნარის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ქალაქის და სოფლის დაკავშირებისათვის. ის გლეხობას აწვდის იაფ კრედიტს, [illegible] ტრაქტორებს სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის ასაწევად, აწყობს სასოფლო სამეურნეო სკოლებს და აბამს გლეხობის წარმომადგენლებს პროლეტარული სახელმწიფოს მმართვა-გამგებლობაში.

დელეგაციამ ინახულა აგრეთვე თბილისის ციხე, სადაც ის 4 საათს ესაუბრა პოლიტიკურ პატიმრებს. პატიმრებმა აღიარეს, რომ 1924 წელს მათ მოაწყვეს შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენს კითხვაზე, თუ რამ აიძულა ისინი მიემართათ შეიარაღებული აჯანყებისათვის, მათ ამ კითხვაზე აღარ სურდათ პასუხის გაცემა იმიტომ, რომ პატიმრებმა ამის შესახებ უკვე მისცეს განცხადება სხვა დელეგაციებს და აღარ უნდოდათ ნათქვამის განმეორება. ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს ციხეში ვინმე იჯდეს მხოლოდ მენშევიკური პარტიის წევრობისათვის — სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ციხე დავსტოვეთ იმ შთაბეჭდილებით, რომ საბჭოთა მთავრობა ზრუნავს პოლიტიკური პატიმრებისათვის მდგომარეობის შემსუბუქებაზე. პატიმრები ღებულობენ ლიტერატურას და გაზეთებს და აქვთ თავისუფალი კავშირი ურთიერთ შორის.

ჩვენ ვესაუბრეთ აგრეთვე ზოგიერთ ყოფილ მენშევიკ მუშებს, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში ყოფილან მენშევიკურ პარტიის აქტიური წევრები და რომელნიც არც ეხლა ირიცხებიან კომუნისტურ პარტიაში. მაგრამ ეხლა მათ უჭირავთ საპასუხისმგებლო თანამდებობანი. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ქართველ ემიგრანტებს და ციხეში მყოფ ძველ ლიდერებს არა ჰყავთ მომხრეები არა მარტო მუშათა და გლეხთა მასებს შორის, არამედ ინტელიგენციაშიაც. რომ უკანასკნელი ამჟამად აგრეთვე სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას, ამას ამტკიცებს ქართველ მწერალთა ყრილობის პოზიცია, რომელმაც მიღებულ რეზოლიუციაში მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობას.

ყველა ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ საქართველოს პროლეტარიატის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ მუშების და გლეხების ხელშია მთელი ძალაუფლება.

ჩვენ, ავსტრიის მუშათა დელეგაციის წევრები—აღუთქვამთ ქართველ მუშებს და გლეხებს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ავსტრიის პროლეტარიატს მოუთხროთ სიმართლე საბჭოთა საქართველოს შესახებ და ვიმუშაოთ [illegible] ტის მთლიანობის [illegible].

გაუმარჯოს ქართველ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანობას!

იულიუს ფორკაშე, პიტცლ იოზეფ, ბურიან იოგ, ბონნერ ლარეს ფერდ, ტროოსტ მარი, ფიალა ფრიდრიხ, ანტონ მაიერ, ადოლფ რასსინგერ, მარკლ ფრანც, კარლ აიგნერ, რუდოლფ ციკა, შტახ იოგ.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

რა პირობებში მოხდა მთავრობის გადადგომა.

პარიზი, 7 მარტი. ბრიანის კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადება მოხდა შემდეგ პირობებში.

პალატის ერთ-ერთ სხდომაზე საფინანსო კომისიის ყოფილმა მომხსენებელმა მემარჯვენე დეპუტატმა ბოკანოვსკიმ მოითხოვა, რომ მთავრობას დაეყენებინა ნდობის გამოცხადების საკითხი მაშინ, როდესაც კენჭს უყრიდენ რადიკალ-დეპუტატის მარგენის წინადადებას ნავთის და შაქრის იმპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ.

ფინანსთა მინისტრმა დუმერმა განაცხადა, რომ მონოპოლიის წინააღმდეგ პრინციპიალურად არ შეიძლება გალაშქრება, რადგან მონოპოლია ფაქტიურად მაინც კერძო პირთა ხელშია.

მარგენის წინადადება უარყოფილ იქნა 249 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 159-ისა.

მემარჯვენეები აღშფოთებული იყვენ იმით,რომ დუმერმა აღიარა მონოპოლიის პრინციპი და მათ კომუნისტებთან და სოციალისტებთან ერთად საალებმიცემო გადასახადის წინააღმდეგ მისცეს ხმა, რითაც გამოიწვიეს ბრიანის გადადგომა.

საალებ-მიცემო გადასახადი გათვალისწინებული იყო ფინანსთა მინისტრის დუმერის პროექტში, მაგრამ უარყოფილი იქნა ჯერ საფინანსო კომისიაში და შემდეგ დეპუტატთა პალატაში.

პალატა უარყოფითად შეხვდა ამ გადასახადს იმიტომ, რომ თუმცა მას ვაჭარ-მრეწველები იხდიან, მაგრამ ფაქტიურად მომხმარებელს აწვება და ამიტომ არა-პოპულიარულია ხალხში.

პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად სოციალისტებმა და რადიკალებმა ამ გადასახადის წინააღმდეგ მისცეს ხმა. იმავე მოსაზრებით წინააღმდეგ მისცეს ხმა აგრეთვე მემარჯვენეებმაც. თავის თავად ცხადია, რომ კომუნისტებიც წინააღმდეგი იყვენ.

ბოლოს, გადასახადი უარყოფილი იქნა 389 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 112-ისა.

მთავრობამ სენატში შეიტანა ყველა განზრახული გადასახადები, მათ შორის პალატის მიერ უარყოფილი პროექტიც, რითაც დარღვეულ იქნა კონსტიტუცია, რომლის თანახმად სენატს შეუძლია განიხილოს მხოლოდ პალატის მიერ განხილული პროექტები.

ბრიანი ამტკიცებდა, რომ პროექტის „განხილვა“ ნიშნავს [illegible] ყოფს და არა მიღებას, სენატმა მოავრობის პარტიების უმრავლესობით მიიღო პალატის მიერ უარყოფილი გადასახადები, მათ შორის საალებმიცემო გადასახადიც. პალატამ კი ეს არა პოპულიარული გადასახადი გამოჰყო ფინანსიურ კანონპროექტიდან და ეს პროექტი ისე მიიღო. ამან გამოიწვია ბრიანის გადადგომა.

გადადგომა მიღებულია.

პარიზი, 7 მარტი. პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო ბრიანის გადადგომა.

ბრიანი მიდის ჟენევაში

პარიზი, 7 მარტი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, გადადგომის შემდეგ ბრიანმა განაცხადა, რომ ის გაემგზავრება ჟენევაში, სადაც დაესწრება წინასწარ თათბირებს, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებს ერთა ლიგის საბჭოს ოფიციალურ მუშაობაში, რადგან მისი აზრით, პარლამენტის მიერ დამხობის შემდეგ, მას არ შეუძლია ვალდებულებანი იკისროს საფრანგეთის მთავრობის სახელით.

ისევ კაიო

ლონდონი, 8 მარტი. პრეზიდენტი დუმერგი ესაუბრა ბრიანს, რომელიც ჟენევაში გაემგზავრა.

„პარი მიდი“-ს ცნობით, დუმერგს გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს კაბინეტის შემდეგი ცვლილება: ფინანსთა მინისტრის ადგილს დაიკავებს კაიო, ხოლო გარეშე საქმეთა მინისტრის ადგილს—ბრიანი. ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა საბოლოოდ ორშაბათამდის ვერ გამოირკვევა.

ფრანკი ეცემა

ლონდონი, 8 მარ. დღეს ლონდონის ბირჟაზე ფრანკი დაეცა. გირ. სტერლინგი ღირდა 130 ფრანკი, დღეს კი იძლევიან თითქმის 136 ფრანკამდე.

საფრანგეთის მისია არ ჩამოვა

ლონდონი, 6 მარტი. კაბინეტის კრიზისის გამო საფრანგეთის მისიამ, რომელსაც ინგლისთან მოლაპარაკება უნდა გაემართა ვალების შესახებ, გადასდო თავისი გამგზავრება ლონდონში.

ბრიანი არ დაბრუნდება

ლონდონი, 8 მარტი. ფრანგული გაზეთების ცნობით,ბრიანმა განაცხადა, რომ ლაპარაკიც ზედმეტია მის მიერ ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ.

ჩემბერლენი ბრიანთან

ლონდონი, 8 მარტი. ჩემბერლენს პარიზში გავლის დროს საუბარი ჰქონდა ბრიანთან.

ჩემბერლენმა უარი განაცხადა თავისი აზრის გამოთქმაზე კაბინეტის დაცემის შესახებ.

ორიენტაციის შესახებ

პარიზი, 8 მარტი. ამ დღეებში გაიმართება პალატის დეპუტატების სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფების კრებები,რომელთაც უნდა მიუთითონ პრეზიდენტ დუმერგს იმაზე, თუ რა ორიენტაცია უნდა იქნეს დაცული პრემიერის არჩევის დროს.

პრესის აზრი

პარიზი, 8 მარ. გაზეთების წინასწარმეტყველება კრიზისის დამთავრების შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერს შეიცავს ახალს.

„მატენი“ აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლიონში გამართულ თათბირს დუმერგსა და ერიოს შორის.

„მატენი“-ს ჟენეველი კორესპონდენტი მოითხოვს კრიზისის სასწრაფოდ მოგვარებას, რათა საფრანგეთს ჟენევაში ეყოლოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი

არაოფიციალური თათბირი

ბერლინი, 8 მარტი. არაოფიციალურ თათბირზე, რომელიც გაიმართა ჟენევის ერთ-ერთ სასტუმროში, ინგლისის წარმომადგენლად იყო ჩემბერლენი, გერმანიის—ლიუტერი და შტრეზემანი, საფრანგეთის—ბრიანი, იტალიის — შალოია და ბელგიის — ვანდერველდე.

დელეგატები 4 საათის განმავლობაში მსჯელობდენ სადაო საკითხებზე და, როგორც სჩანს, ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რადგან თათბირის შემდეგ გამოქვეყნებული ბიულეტენი ამბობს:

„იმ ერთა დელეგატები, რომელთაც ხელი მოაწერეს რეინის შეთანხმებას ლოკარნოში, შეიკრიბენ ურთიერთის თვალსაზრისის გამოსარკვევად. ამ პირველ აზრთა გაცვლა-გამოცვლას მეორე კრება მოჰყვება“.

საარის საკითხი, რომელსაც წინად დღის წესრიგში პირველი ადგილი ეჭირა, ეხლა მე-14 საკითხად არის დასმული. სამაგიეროდ საკითხი ზემო სილეზიის შესახებ დასმულია პროგრამის სათავეში და, ალბად, ის გერმანიის მონაწილეობის გარეშე იქნება გადაჭრილი.

დამარცხების საფრთხის წინაშე

ბერლინი, 8 მარტი. ბრიანი ჟენევიდან პარიზში გაემგზავრა. მას იმედი აქვს, რომ ახალი კაბინეტის შედგენას მოახერხებს დაჩქარებით, რომ სამშაბათს ისევ ჟენევაში იქნეს. თუ ახალი მთავრობის შედგენა 48 საათის განმავლობაში ვერ მოხერხდა, „მატენის“ სიტყვით, საფრანგეთს აუცილებელი დამარცხება მოელის ჟენევაში.

საინფორმაციო თათბირი

ბერლინი, 8 მარტი. კვირას შესდგა საინფორმაციო თათბირი ლიუტერსა, ბრიანსა და ჩემბერლენს შორის. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბრიანი, რომელმაც ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულებას, ჟენევაში ჩამოვიდა მხოლოდ იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ თათბირში, რომელსაც ლოკარნოს გაგრძელებას უწოდებენ.

„ლოკარნოს სული“

ლონდონი, 8 მარტი. ჟენევაში დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლთა თათბირის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა პრესის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სხდომას არ შეხვედრია არავითარი დაბრკოლება ურთიერთ პოზიციის გამორკვევის დროს.

მისამატებელი აღარაფერია

ბერლინი, 8 მარტი. გერმანიის დელეგაცია ჟენევაში ჩავიდა.

ლიუტერმა პრესის წარმომადგენელთ განუცხადა, რომ მისი თვალსაზრისი ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის შესახებ უკვე სავსებით გამორკვეულია ჰამბურგში წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ და მისამატებელი არაფერი დარჩა.

პოლონეთი და ერთა ლიგა

პარიზი, 8 მარტი. როგორც „პტი პარიზიენ“-ს ატყობინებენ ჟენევიდან, ზოგიერთ წრეებში შიშს გამოსთქვამენ, რომ ბრიანის გადადგომის გამო, პოლონეთი უნდა დაკმაყოფილდეს ერთა ლიგის საბჭოში დროებითი ადგილით, რომელიც თავისუფლდება ესპანეთისათვის მუდმივი ადგილის დათმობის გამო.

თავს იწუხებენ

ლონდონი, 8 მარტი. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ბრიანი ჟენევაში ესწრება მეტად მნიშვნელოვან წინასწარ თათბირს, მთავარ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი ლოკარნოს ხელშეკრულებაზე. იმედს გამოსთქვამენ, რომ ეს თათბირი აღმოფხვრის ყოველგვარ დაბრკოლებებს, რომელიც ხელს უშლის ერთა ლიგის მოწვევის მთავარი მიზნის განხორციელებას, ე. ი. გერმანიის ერთა ლიგაში მიღებას და მისთვის ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის დათმობას.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

„ძი-ძი“ საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 7 მარტი. „ძი-ძი“ მოწინავე წერილში ეხება საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობას და აღნიშნავს მის გაუმჯობესებას, რასაც ხელი შეუწყო სახალინის კონცესიების საკითხის სასურველად გადაჭრამ.

შემდეგ გაზეთი სწერს: „ჩვენ მხოლოდ ვწუხვართ, რომ კიდევ ერთგვარ შიშს ბადებს საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობის გართულება მანჯურიაში“.

გაზეთი ეხება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის და აცხადებს: **„იაპონიას მანჯურიაში დიდი ინტერესები აქვს, მაგრამ იაპონია ისე არ დაჰკარგავს გონიერებას, რომ ვინმემ ამ კონფლიქტში ჩაითრიოს“.**

გაზეთის აზრით, იაპონიის მთავრობას ნაწილობრივ წილი უდევს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის მომხდარ კონფლიქტში, რის გამო გაზეთი მწუხარებას გამოსთქამს, რომ უმნიშვნელო ინტერესების გულისთვის, რომელიც მას სამხრეთ მანჯურიის რკინის გზასთან აკავშირებს, იაპონია იძულებულია პასუხისმგებელი იყოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთგვარ გართულებაში, რასაც უარყოფითად შეხვდენ უცხოეთის სახელმწიფოებიც.

გაზეთი მთავრობას ურჩევს შესცვალოს თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

„სოციალისტების“ კონფერენცია

პარიზი, 7 მარტი. ამ დღეებში ბრიუსელში შესდგა გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის სოციალისტთა კონფერენცია სავაჭრო ხელშეკრულების საკითხის შესახებ.

კონფერენციას დაესწრნენ გერმანიიდან—ჰილფერდინგი და ბრეიტშეიდი. საფრანგეთიდან—ბარტი, გრუმბახი და ბრაკე. ბელგიიდან—დე-ბრუკერი, ვან-ბრუსზენი და ჰიერარი. დაესწრო აგრეთვე მეორე ინტერნაციონალის მდივანი—ფრიდრიხ ადლერი.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომ შემდეგისთვის ყოველი ეკონომიური ხასიათის ხელშეკრულება რეგისტრაციაში ტარდებოდეს ერთა ლიგის ეკონომიურ სექციის მიერ.

ამას გარდა კონფერენციამ დაადგინა: ყოველგვარი შეთანხმება როგორც ლითონის წარმოების, ისე სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებელთა შორის უნდა დაიდოს ხოლმე მთავრობის კონტროლ ქვეშ და რეგისტრაციაში ტარდებოდეს ერთა ლიგის ეკონომიურ სექციის მიერ.

რუმინეთ-გერმანიის კონფლიქტი

ვენა, 7 მარტი. გერმანიასა და რუმინეთს შორის წარმოიშვა ახალი კონფლიქტი ომის დროს გერმანიის ჯარების მიერ რუმინეთის დაზიანებული რკინის გზების ანაზღაურების საკითხში. საზავო ხელშეკრულების თანახმად გერმანია ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ მიყენებული ზარალი. გერმანია ეხლა რუმინეთისაგან მოითხოვს რემონტის ხარჯების ანაზღაურებას და მოთხოვნილებას ასაბუთებს მით, რომ ეს ხარჯები არ არის გათვალისწინებული დაუესის გეგმით, რომელსაც გერმანია ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად სთვლის რეპარაციების საკითხში.

გერმანიის მთავრობამ რუმინეთის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ რუმინეთი არ დაჰფარავს ორთქლმავლების რემონტის ხარჯებს, გერმანია მათ აუქციონში გაჰყიდის. რუმინეთმა ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, როგორც ბერლინში, ისე სარეპარაციო კომისიაში, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი.

მდგომარეობა ჩინეთში

არამკვიდრი წონასწორობა.

პეკინი, 7 მარტი. გაზეთი „შუნ-ტიენ-ბაო“ ეხება შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და სწერს:

„ახალი კაბინეტი შესდგა მუკდენის, ჩჟილის, ანფუისტების და სახალხო არმიის წარმომადგენლებისაგან, რათა დუან-ცზი-ჩჟუის საშუალება მიეცეს შეგუების პოლიტიკა აწარმოოს მათ შორის, მაგრამ მთავრობა მხოლოდ ნომინალურად არსებობს. მილიტარისტები მათ ანგარიშს არ უწევენ. მთავრობა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მილიტარისტები დასუსტებული არიან შინაური განხეთქილებით. დუან-ცზი-ჩჟუი ასეთი მდგომარეობით სარგებლობს და ცდილობს კომპრომისის მიღწევას. მაგრამ ახალი კაბინეტი მხოლოდ მანამდე იარსებებს, სანამ ეხლანდელი წონასწორობა არ დაირღვევა. თუ მდგომარეობა შეიცვალა, კაბინეტი დაეცემა.

პეკინის კაბინეტში.

პეკინი, 7 მარტი. იენ-ხოი-ჩინს ჯერ კიდევ არ დაუთმია გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტი.

იუსტიციის მინისტრად დაინიშნა ლოო-სინი, რომელიც სახალხო არმიასთან ახლო სდგას.

მუკდენელების იერიში მოიგერიეს.

პეკინი, 7 მარტი. გაზეთების ცნობით, მუკდენელებმა ჩჟან-სიუ-ლიანის მეთაურობით იერიში მიიტანეს ლან-ჩჟაუზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ სახალხო არმიის მიერ.

გაფიცვები მუკდენში.

ხარბინი, 7 მარტი. 2 მარტს მუკდენში 500 მუშა გაიფიცა სელის ფაბრიკაში. გაფიცვას დაირენის მანქანების საამშენებლო კომპანიის მუშებიც შეუერთდნენ. ხელისუფლება შიშობს, რომ გაფიცვას მატყლის ფაბრიკის და შაქრის ქარხნის მუშებიც შეუერთდებიან.

გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე წარმოიშვა, რადგან ჩჟან-ძო-ლინის ფულის კურსის დაცემის გამო, მუშები სამუშაო ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

ხარბინელი „ლიბერალი“.

პეკინი, 7 მარტი. ხარბინში ინგლისელების ზეთის სახდელ ქარხანაში 90 ჩინელი მუშა გაიფიცა.

ქარხნის დირექტორმა, ხარბინელმა ლიბერალმა კობალკინმა, გაფიცული მუშები ქარხნიდან გამორიცხა და ახალი მუშების მიღებას შეუდგა.

იაპონიის „თვალსაზრისი“ ჩჟან-ძო-ლინის შესახებ.

ტოკიო, 7 მარტი. იაპონიის პრესა აღელვებულია ჩჟან-ძო-ლინის ახალი გამოსვლით სახალხო არმიების წინააღმდეგ.

სააგენტო „ტახო“ იტყობინება, რომ ჩჟან-ძო-ლინის ფულების კურსის აწევ-დაწევა ჩჟან-ძო-ლინის გავლენის აწევ-დაწევასთან სწარმოებს პა- [illegible] დენი ჰფარავს არა სპეციალური შემოსავლით, არამედ ქაღალდის ფულების გამოცემით 100 მილ. დაიანამდე. ერთი წლის განმავლობაში უკვე 400—500 მილ. დაიანამდე იყო გამოცემული. თუ ჩჟან-ძო-ლინის გავლენა დაეცა, ეს ფულიც სწრაფად დაჰკარგავს ღირებულებას.

სააგენტო „ტახო“ აცხადებს: „თუმცა არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩჟან-ძო-ლინი დაიღუპება მისი აგრესიული პოლიტიკის გამო, მაგრამ ჩვენი სურვილია, რომ იმ პირებმა, რომელნიც ჰფიქრობენ, თითქოს ჩჟან-ძო-ლინი და იაპონია განუყრელნი იყვნენ, ამ ჩვენს თვალსაზრისს სათანადო ყურადღება მიაქციონ.

კომუნისტების პროცესი კიშინევში

ვენა, 7 მარტი. კომუნისტების პროცესზე კიშინევში დამთავრდა ბრალდებულთა დაკითხვა. ბრალდებული პატრუჩესკუ თავის სიტყვაში შეეხო ბრაილელ ოხრანკის უფროსის დემიტრესკუს საქმიანობას; დიმიტრესკუ პატრუჩესკუსაგან მოითხოვდა, რომ ის მასთან ჯაშუშად დამდგარიყო.

საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება

ვენა, 7 მარტი. გაზეთ „ნოიე ფრეიე პრესემ“ ბელგრადიდან მიიღო ცნობა, რომ ნინჩიჩსა და ბრიანს შორის სწარმოებდა მოლაპარაკება საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის საკავშირო ხელშეკრულების განახლების შესახებ. ამ ხელშეკრულების დადება შეფარდებულ უნდა იქნეს იტალია-სამხრეთ-სლავიის მეგობრობის ხელშეკრულების დადების მომენტთან.

ღამის ცნობები

პარლამენტი—ცირკი.

პარიზი, 7 მარტი. ბრიანის კაბინეტის დაცემამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია პოლიტიკურ პარტიებში. მემარცხენე ბლოკის ორგანო „ევრ“-ი სწერს:

— უკანასკნელ ამბებმა პარლამენტი გადააქცია ცირკად. თვითონ პარლამენტი უკვე ვეღარ გრძნობს პარლამენტარიზმს.

მემარჯვენე წრეებში.

პარიზი, 7 მარტი. მემარჯვენე წრეებში ბრიანის გადადგომამ ვერ გამოიწვია აღფრთოვანება. რადგან ეს წრეები ხედავენ, რომ არაა ხელსაყრელი დრო ხელისუფლების ასაღებად.

მემარჯვენე პრესა ხაზს უსვამს მსხვილი კაპიტალის დიქტატურის აუცილებლობას.

დიდი ამბების წინ.

პარიზი, 7 მარტი. პერტინაქსი „ეკო დე-პარი“-ში (ნაციონალური ორგანო) გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ბრიანის კაბინეტის დაცემაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ლოკარნოს ხელშეკრულობით უკმაყოფილებამო.

„აღსანიშნავია, — სწერს პერტინაქსი,—რომ ბრიანი დაეცა დიდი ისტორიული გადაწყვეტილებების წინა დღით (ე. ი. ერთა ლიგის სესიის). საფრანგეთის პარლამენტარები თანდათან იგებენ 16 ოქტომბრის ხელშეკრულების რეალურ მნიშვნელობას“.

მარჩიელობენ.

პარიზი, 7 მარტი. მთავრობის კრიზისის მოგვარებას მოელიან დუმერის ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ.

პრემიერად ასახელებენ რაულ პერეს, იმ ჯგუფის მეთაურს, რომელიც სდგას მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფებს შორის და აგრეთვე კაიოს და დე-მონზის. „კოტიდიენ“-ი ამბობს: ან პუანკარე, ან ერიო.

მემარცხენე ბლოკის მემარჯვენე ფრთის [illegible] მემარცხენე ბლოკის სამინისტროს შედგენა.

საჭიროა დასვენება.

პარიზი, 7 მარტი. პარიზის გაზეთების ცნობით, ბრიანმა განაცხადა, რომ მის მიერ ახალი კაბინეტის შედგენაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო; ამასთანავე მან სთქვა: „მე მაქვს უფლება კარგად დავისვენოვო“.

ცუდი შთაბეჭდილება.

ვარშავა, 7 მარტი. ბრიანის დაცემამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ვარშავაში.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გამო არავითარი იმედი არაა, რომ პოლონეთს მუდმივი ადგილი მისცენ ერთა ლიგის საბჭოში.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა

მშრომელთა სოლიდარობის დემონსტრაცია

(შთაბეჭდილებანი)

საღამოს 6 საათია. გაჩირაღდნებული საოპერო თეატრი ელოდება სტუმრებს. დღეს იხსნება პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მეხუთე ყრილობა. ხუთი წლის მუშაობისა და ბრძოლის შემდეგ, მეხუთედ იკრიბებიან დღეს საქართველოს პროფესიონალურად შეკავშირებულ მუშათა კლასის წარმომადგენლები და აკი ოპერის დიდი დარბაზიც პირმცინარე მორთული ელის ძვირფას სტუმრებს. ტევა აღარ არის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აწყდება დარბაზს, და რადგან ყველა მსურველს ვერც სტუმართმოყვარე საოპერო თეატრი იტევს — ბევრი გარეთაც რჩება.

7½ ს. ხდება ფარდა და პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ყურულაშვილი** გახსნილად აცხადებს მე-5 ყრილობას.

გუგუნებს ჰიმნი რევოლიუციის, გუგუნებს დარბაზში ინტერნაციონალი. და შემდეგ საქართველოს პროფკავშირთა ხელმძღვანელის მოკლე, მკვეთრი მისალმება და 5 წლის მუშაობის თვალის გადავლება.

— გავიზარდეთ, განვმტკიცდით, ჩამოვყალიბდით. კვლავაც წინ წავალთ, კვლავაც გავიზრდებით, რადგან ჩვენია მომავალი, ჩვენია გამარჯვება.

— მენშევიკების მიერ ამიერ - კავკასიის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს მოწყვეტილი საქართველოს მუშები დღეს ისევ რევოლიუციონურ მუშათა კლასის მთლიან ოჯახში არიან. კვლავაც ვიქნებით, კვლავაც ვიბრძოლებთ ერთიანი ძალით, რკინის ნებისყოფით.

მქუხარე ტაშით ზანზარებს დარბაზი.

დასრიალებს ბრჭყვიალა შუქი პროჟექტორების და ოპერატორი ატრიალებს აპარატის ხელს. კინო - ლენტზე უნდა აღიბეჭდოს ზეიმის სურათები, ის ძვირფასია, ის ღირსია უკვდავყოფისა.

სამხედრო მარში გაისმის დერეფანში. დარბაზმა ყურები ცქვიტა. წითელარმიელთა გუნდი მიდის მხედრული ნაბიჯით, მხედრული სალამით, ამოწვდილი ხმლებით მიაბიჯებენ დროშის გუშაგები. პატაკი პრეზიდიუმს!

—მეორე ქართული დივიზიის საარტილერიო დივიზიონის სახელით გამოვცხადდით საქართველოს პროფკავშირთა მე-5 ყრილობისათვის სალამის გადმოსაცემათ.

— მეორე ქართულ დივიზიის ცალკე ცხენოსან ესკადრონის სახელით გამოვცხადდით პროფკავშირთა მე-5 ყრილობისათვის სალამის გადასაცემათ, — გაუმარჯოს წითელარმიას, გაისმის დარბაზში და მქუხარე ტაში, ინტერნაციონალი ჰფარავს მხედართა უკანასკნელ სიტყვებს.

ამხ. **კულუმბეგაშვილი, სტურუა** ესალმებიან ყრილობას ქართ. წითელი ლაშქრის სახელით, წითელ მხედრებს, [illegible] ბელადი სცვლის ტრიბუნაზე. კომპარტიის ცეკასა და ცაკის სახელით ამხ. **ფილ. მახარაძე** ესალმება ყრილობას. ოვაციებით ხვდება მთელი ყრილობა მას, როგორც ერთი კაცი, დგება ფეხზე და დიდხანსდიდხანს მქუხს დიდი დარბაზი ათასი ხელის მხურვალე ტაშით. ჩვეულებრივ დინჯათ, ჩვეულებრივ მტკიცეთ იწყებს ფილიპე თავის მისალმებას. ის იგონებს წარსულს, ბრძოლას, მუშაობას, ახურათებს მიღწევებს სახავს ამოცანებს, გარკვეული და მკვეთრია თვითეული მისი სიტყვა, თვითეული აზრი. სულგანაბული უსმენ დარბაზის და დიდხანს უკრავს ტაშს ბელადს, მას შემდეგაც, რაც ის ათავებს თავის სიტყვას.

მთავრობის სახელით ამხ. **შალვა ელიავა** უძღვნის სალამს მე-5 ყრილობას.

— ჩვენ უნდა გავზარდოთ წარმოება, ავაშენოთ ფაბრიკა-ქარხნები. პროლეტარიატი უნდა გაძლიერდეს საქართველოში, რადგან, რაც უფრო ძლიერი იქნება ის, მით უფრო მტკიცე იქნება საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ ავაყვავებთ ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანას, ჩვენ დაუმტკიცებთ მთელ მსოფლიოს, რომ შეგვიძლია გადავაქციოთ საქართველო მოწინავე და მდიდარ ქვეყნათ, მდიდარი კულტურით.

ამხ. ელიავას საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. **მელნიჩანსკი** სცვლის. კვლავ მქუხს დარბაზი, კვლავ გაისმის ვაშა და დიდი კავშირის სახელით მუშათა კლასის წარმომადგენელს მხურვალეთ ესალმებიან საქართველოს მუშათა კლასის რჩეული წარმომადგენლები.

აგერ დროშა გამოჩნდა, წითელი დროშა სცენაზე. სამი ამხანაგი მოჰყვება მას. სამივე აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობისაგან არიან გამოგზავნილი, აზერბეიჯანის მუშათა კლასის. მხურვალე სალამის გადმოსაცემათ დროშასთან ერთად, საქართველოს მუშებისათვის.—ჩვენი კავშირი, ამიერ-კავკასიის მუშების, მტკიცე და ურყევი იყო დღემდის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წითელი დროშა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ძმურ ურთიერთობას, ჩვენს მტკიცე კავშირს.

მეღითონეთა წარმომადგენელმა ამხ. **ბაგრატ მაჩაიძემ** ჩამორთვა დროშა აზერბეიჯანელ ამხანაგებს, მტკიცეთ ჩასჭიდა ხელი.

უპასუხა მოკლედ, მუშურად.

— მადლობა ჩვენს ძმებს, ეს დროშა ჩვენი სოლიდარობის, მტკიცე კავშირის და ურყევი ერთობის საფუძველია.

კვლავ შესცვალა ტრიბუნაზე დელეგაცია დელეგაციამ, სომხეთის პროფსაბჭოს, თბილისის მშრომელ ქალთა, მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშათა წარმომადგენლები ცეცხლიან სიტყვებს ისვრიან აღგზნებულ დარბაზში.

დიდხანს გრძელდება მისალმებები. დიდხანს ზანზარებს მქუხარე ტაშით საოპერო თეატრი და დიდხანს არ დაივიწყებს ის კიდევ 8 მარტს — მშრომელთა სოლიდარობის საზეიმო დემონსტრაციას.

ვ. ბ—ძე.

საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს 7½ საათზე საოპერო თეატრის დარბაზში გაიხსნა პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საქართველოს მე-5 ყრილობა.

ყრილობა გახსნა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა გ. ყურულიშვილმა.

ამხ. ყურულაშვილის სიტყვა

— რამოდენიმე დღის წინათ,—ამბობს ამხ. ყურულიშვილი—საქართველოს მშრომელებმა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლისთავი იდღესასწაულეს. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მუშათა კლასს დიდი მიღწევები აქვს. 5 წლის წინათ პროფკავშირები თითქმის დანგრეული იყო. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ისინი გაიზარდნენ, განმტკიცდნენ და ჩამოყალიბდნენ. დღეს ჩვენი პროფკავშირები 136 ათას წევრს აერთიანებენ.

— ორატორმა აღნიშნა [illegible] საერთო ეკონომიური ზრდა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

— „გაუმარჯოს საქ. მუშათა კლასს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს საქართველოს მუშათა კლასის მჭიდრო კავშირს ამიერ-კავკასიისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან!—დაასრულა თავისი მოკლე სიტყვა ამხ. ყურულიშვილმა.

ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმში შემდეგი ამხანაგები:

მელნიჩანსკი, სემკოვი, კახიანი, ყურულიშვილი, ჭელიძე, მაჩაიძე, ფანცხავა, მიქაძე, ს. ჯუღელი, ათოევი, საბაშვილი, კალანდაძე, კვიცარიძე, აბეტისოვი, მორჩილაძე, აღლაძე, მარიამიძე, ჯიჯაძე, ფრუიძე, ხუტულაშვილი ჯავაირა, ნიკიტინი, სუკოიანი, ხარაბაძე, კომახიძე, ქოქოსაძე, ლაღაზიძე, ხვედელიძე, კაპანაძე, ბეჟანოვი, ვართანოვა. ხომასურიძე, ელბაქიანი, სიხარულიძე, ჩხეიძე, კონცელიძე, მაჭარაძე, ბურეში, ასლამაზაშვილი, ჟუნჭულია და არეშიძე.

სამდივნოში

გოგიბერიძე ქიქიკო, ჩუპრინა, კოჩიევი, კალანდაძე და ბაბაჯანოვი.

სარედაქციო კოლეგიაში

გოდაბრელიძე, მხითაროვი, ცომაია, მარკმანი და გოგიბერიძე.

სამანდატო კომისიაში

გოგინაშვილი, გვარამაძე, ოჩიგავა, მესროფოვი, ინაშვილი, ფედოროვი და მაისურაძე.

საპატიო თავმჯდომარეებად ყრილობა ერთხმად ირჩევს

სტალინს, ტომსკის, კალინინს, რიკოვს, ზინოვიევს, ტროცკის, ორჯონიკიძეს, [illegible] ვს, ლოზოვსკის და კლარა ცეტკინას.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობამ მოისმინა მისალმებები. პირველად ყრილობას მიესალმენ ქართულ დივიზიის საარტილერიო დივიზიონის და ცალკე ცხენოსან ესკადრონის წითელარმიელები და მეთაურები. მათი სახელით ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ყულუმბეგაშვილმა და სტურუამ. ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა მათ გამოსვლას.

შემდეგ საქ. კომპარტიის ცეკასა და საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ფილიპე მახარაძე.**

მის გამოსვლას მთელი ყრილობა მხურვალე ტაშით და ოვაციებით შეეგება.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა განსაკუთრებულ პირობებში იკრიბება. ამ რამოდენიმე დღის წინ ჩვენ თქვენთან ერთად ვიდღესასწაულეთ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლისთავი და ფეხი შევსდგით ჩვენი არსებობის მეექვსე წელში.

ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ნდობა და სიყვარული მოიპოვა მშრომელთა ფართო ფენებში. მისი სახელი და ავტორიტეტი გაიზარდა და განმტკიცდა.

ამ ხუთი წლის წინ ჩვენ ზურგი შევაქციეთ ბურჟუაზიულ წყობილებას და სოციალიზმისაკენ ვქენით პირი, ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, ბევრი ვიბრძოლეთ და მიღწევებიც საგრძნობი გვაქვს. განსაკუთრებით დიდია ის მიღწევები, რომელიც პროფესიონალურ მუშაობაში გვაქვს.

შემდეგ ორატორმა ჩვენი საერთო ეკონომიური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა გააკეთა და გააშუქა ის ამოცანები, რომელნიც აწევს პროფესიონალურ ორგანიზაციებს სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში.

— გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობას! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს საქართველოს პროფკავშირთა მე-5 ყრილობას!—ასე დაამთავრა ამხ. ფილიპემ თავისი სიტყვა.

ყრილობამ მხურვალე ტაშით დაჰფარა ამხ. ფილიპეს უკანასკნელი სიტყვები.

საქართველოს მთავრობის სახელით, ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ამხ. შ. ელიავა** მიესალმა.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მივესალმო თქვენს ყრილობას საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახელით და გამოვსთქვა თქვენს წინაშე რამოდენიმე სურვილი პროფკავშირთა მომავალი მუშაობის შესახებ.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო ეყრდნობა მუშათა კლასს. მართალია, ჩვენს ქვეყანაში არ არის მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში ჩვენ გვყავს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა საკმაოთ ძლიერი რაზმი, რომელიც ჩვენი მეურნეობის მთავარი მამოძრავებელი ძარღვია. ეს მდგომარეობა რასაკვირველია განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს მუშათა კლასს. მენშევიზმის „ოქროპირები“ თავის იმედებს ამყარებდენ სხვათა შორის იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლებასა და მუშათა კლასს შორის წარმოიშვებიან ისეთი უთანხმოებანი, რომლებიც ბოლოს მოუღებენ მშრომელთა ბატონობას.

თქვენ, მუშათა კლასის წარმომადგენლებმა, ყველაზე უკეთ იცით, რამდენათ საფუძვლიანი იყო და არის ეს იმედები. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია თავის სიღარიბის და ეკონომიური სისუსტის გამო ჯერ სავსებით დააკმაყოფილოს მუშათა კლასის ყველა მოთხოვნილებები, მაგრამ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასა და მუშათა კლასს შორის შეუძლებელია განხეთქილება, რადგან ეს ხელისუფლება მუშათა კლასის ბრძოლის ნაყოფი არის, რადგან საბჭოთა ხელისუფლება მუშათა კლასის ხელისუფლება არის.

შემდეგ ორატორმა დაახასიათა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის გზით უნდა წავიდეს. ამ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ეძლევათ პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არსებობის შემდეგი ხუთი წელი იქნება ჩვენი ინდუსტრიის საფუძვლის ჩაყრის ხუთწლედი, იმ ინდუსტრიის, რომელიც უნდა შექმნას ჩვენმა ქვეყანამ.

გაუმარჯოს მუშათა კლასს და მის ორგანიზაციას — პროფკავშირებს! (მხურვალე ტაში).

ამხ. მელნიჩანსკის სიტყვა

შემდეგ ყრილობას მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მელნიჩინსკი. სიტყვის შესავალში მან მოკლე მიმოხილვა გაუკეთა პროფკავშირების 5 წლის მუშაობას საქართველოში და 8 წლის მუშაობას საბჭოთა კავშირში.

— ჩვენი მტრები სისინებდენ, რომ მუშათა კლასი ვერ დარჩებოდა დიდხანს, ვერ გასძლებდა ხელისუფლების სათავეში, რადგან ის ვერ გაართმევდა, მათი აზრით, თავს სახელმწიფო საქმეებს. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ ისინი სასტიკად მოსტყუვდენ. ჩვენ ვარსებობთ, ვმუშაობთ და ვიზრდებით.

დღეს, საბჭოთა პროფკავშირებში რვა მილიონი წევრია დარაზმული.

შეეხო რა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, ორატორმა აღნიშნა, ევროპის მუშათა კლასის მარცხნივ გადახრა და მთლიანი ფრონტის იდეის გავლენის ზრდა მათ შორის.

შემდეგ ყრილობას მიესალმენ აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობის წარმომადგენლები,რომლებმაც დროშა მიუძღვნეს მას,სომხ. პროფსაბჭოს. თბილისის მშრომელთა ქალთა, მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშების წარმომადგენლები.

ალფეზ ხელაძე

ესალმება ყრილობას, უცხოეთიდან დაბრუნებული ემიგრანტ მუშების სახელით და ამბობს: თქვენს წინაშე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ მენშევიკი მუშები ვსცდებოდით. ჩვენი აღსარება არის გულწრფელი და ამას ჩვენ დავამტკიცებთ საქმით თქვენთან მუშაობის დროს. უცხოეთში ჩვენ მოგვეცა საშუალება გადაგვესინჯა ჩვენი იდეოლოგია, ტაქტიკა და წარსული საქმიანობა. მხოლოდ ასეთი გადასინჯვის შემდეგ ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ მენშევიზმი დიდათ აბრკოლებდა პროფესიონალურ მოძრაობის განვითარებას საქართველოში, რადგან მენშევიზმი წარმოადგენს იდეოლოგიას, რომელიც არ ეყრდნობა რევოლიუციონურ ნიადაგს. ქართული პრესის თვალყურის დევნებით უცხოეთში ჩვენ ვეცნობოდით აგრეთვე პროფესიონალურ მოძრაობას საბჭოთა საქართველოში და აშკარად, ვხედავდით, თუ რამდენათ ნაყოფიერი და სალი გამოდგა საბჭოთა პრინციპზე აგებული პროფკავშირთა მუშაობა. ამას დღეს აჩნევს ევროპის მუშათა კლასი, რომელიც ამ ჟამად იბრძვის მთლიანი მუშათა ფრონტის შესაქმნელად. გაუმარჯოს საქართველოს პროფკავშირთა მუშაობას, როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და სამეურნეო აღორძინების საწინდარს. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროფესიონალურ მოძრაობას. (ტაში).

ამხ. სემკოვი

ყრილობას ესალმება ა.-კ. პროფკავშირთა სახელით და ამბობს, რომ წითელი არმიის ნაწილებიდან დროშის გადაცემა ყრილობისათვის და აგრეთვე მენშევიკურ პროფკავშირების ძველი მოღვაწის ამხ. ხელაძის გულწრფელი განცხადება ყველაზე უკეთ მოწმობს, თუ რაოდენ დიდია პროფესიონალური მოძრაობის მიღწევები 5 წლის განმავლობაში.

დასასრულ ყრილობას მისასალმებელ სიტყვით მიმართავენ [illegible] კავშირის სახელით **ხოსროშვილი** და წითელი ჯარის ჯავშნიანი ნაწილების სახელით ამხ. [illegible]

შემდეგ ყრილობა ისმენს **უკრაინის პროფკავშირთა ყრილობის** მიერ გამოგზავნილ დეპეშას.

ყრილობის დადგენილებით მისასალმებელი დეპეშები ეგზავნება **საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, უკრაინის, აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობებს და სომხეთის პროფსაბჭოს.**

ყრილობა იხურება ინტერნაციონალის მღერით, საღამოს 10 საათზე.

დასასრულ დელეგატებისათვის გაიმართა კონცერტი.

საუბარი საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრ ამხ. მელნიჩანსკისთან

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა საქართველოს პროფკავშირთა მე-5 ყრილობაზე ჩამოსულ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის და ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის წევრთან ამხ. მელნიჩანსკისთან.

— არ არის არც ერთი ქვეყანა—სთქვა ამხანაგმა მელნიჩანსკიმ, სადაც მუშათა კლასის მთლიანობის იდეაც არ ჰქონდეს მოპოვებული დიდი გავლენა, სადაც არ სწარმოებდეს ბრძოლა პროლეტარულ ფრონტის მთლიანობისათვის. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში,—ინგლისში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში გამოდის საგანგებო ჟურნალები, რომლებიც მუშათა კლასის მთლიანობისათვის შეუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებენ ეს ამტკიცებს ევროპის მუშათა კლასის მარცხნივ დაქანებას. ბურჟუაზია და მისი დამქაშები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ მუშათა კლასის ამ მიდრეკილების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლას მათთვის საწინააღმდეგო შედეგები მოაქვს.

ევროპის ყველა სახელმწიფოს მუშათა შორის იზრდება ინტერესი საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენში უკვე იყო ევროპის მუშათა 18 დელეგაცია. ამ წლის განმავლობაში ჩვენ კიდევ ველით 25-მდე დელეგაციას. მათ შორის ჰოლანდიიდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან და ამერიკიდან.

დელეგაციების მოგზაურობა ჩვენში დიდათ უწყობს ხელს მუშათა მთლიანი ფრონტის იდეის პოპულარიზაციას ევროპის მუშათა შორის. დელეგატები დიდ ინტერესს იწვევენ ევროპის მუშათა კლასში. ჩვენგან დაბრუნების შემდეგ თვითეული დელეგატი დაწვრილებით ანგარიშს უდგენს თავის [illegible] მუშებს ჩვენი მდგომარეობის შესახებ. მათ მოხსენებებს ათასობით ესწრებიან მუშები. დაბეჭდილი ანგარიშები ათი ათას ცალობით ვრცელდება. დელეგაციების ძირითადი ლოზუნგია ბრძოლა მთლიანი ფრონტისათვის.

დასასრულ ამხ. მელნიჩანსკიმ აღნიშნა, რომ მუშათა მთლიანი ფრონტის იდეა უკვე შეიჭრა ევროპის მუშათა ფართო მასებში და მტკიცე ნიადაგი მოიპოვა იქ.

— მიუხედავათ იმისა, რომ ამსტერდამი და ყვითელი ბელადები წინააღმდეგი არიან მუშათა მთლიანი ფრონტის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო პროლეტარიატი შესძლებს მათი სურვილის წინააღმდეგ კაპიტალისტური ფრონტისათვის მუშათა ფოლადისებური, ერთიანი ფრონტის დაპირისპირებას.

როგორი იყო შრომის კანონმდებლობა მენშევიკების დროს და როგორი არის ეხლა?

(საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის გამო)

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შრომის კანონმდებლობის გამოცემის ინიციატივა პროფკავშირების ხელშია. თითქმის ყველა დადგენილებები, პროექტები შრომის საკითხების დარგში მუშავდება პროფესიონალურ კავშირების მიერ. თვით შრომის კოდექსიც შემუშავებული იყო პროფესიონალურ კავშირების მიერ. საბჭ. შრომის კანონთა კოდექსშიაც ძალიან ხშირათ არის მითითება იმაზე, რომ ამა და ამ საკითხში დადგენილებას სცემს შრ. კომისარიატი, პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან შეთანხმებით.

ყველა ზემოთნათქვამი ამტკიცებს იმას, რომ საბჭოთა შრომის კანონმდებლობის მიღწევები არის პროფესიონალური კავშირების მიღწევებიც.

გვაქვს თუ არა მიღწევები შრომის კანონმდებლობაში? გვაქვს, და ძალიან დიდი მიღწევებიც. ასეთი განვითარებული შრომის კანონმდებლობა, როგორიც ჩვენში არის, არ მოიპოვება არც ერთ ქვეყანაში.

ჩვენი შრომის კანონმდებლობა უაღრესად იცავს დაქირავებულ შრომას. ის მაქსიმალურია, არსებულ ეკონომიურ პირობებში.

დიდი მიღწევები შრომის კანონმდებლობაში ყველასათვის აშკარა არის. მხოლოდ ზოგიერთისთვის, რომელიც თვალებს იბრმავებს, რომ არაფერს არ შეხედოს, შეიძლება ეს მიღწევები სადაო იქნეს.

რა საზომით უნდა მიუდგეთ შრომის კანონმდებლობის მიღწევებს? საბჭოთა შრომის კანონმდებლობას წინ უძღვის ორი პერიოდი—მეფის კანონები და მენშევიკების დროის კანონმდებლობა. ავიღოთ, როგორც უფრო უახლოესი, მენშევიკებისდროინდელი კანონმდებლობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბევრი განსხვავება მენშევიკების და მეფის შრომის კანონებს შორის არ ყოფილა; ამაში მკითხველი დარწმუნდება ქვევით, როცა დაწვრილებით შევეხებით ამ საკითხს.

გაზეთის ფურცლებზე ვრცლად ამ საკითხის გაშუქება შეუძლებელია. ამიტომ აქ შევეხებით უმთავრეს მომენტებს, რომელიც ახასიათებს ჩვენსა და მენშევიკების შრ. კანონმდებლობას.

მთავარი განსხვავება საბჭოთა და მენშევიკების კანონმდებლობის შორის არის ის, რომ პირველი ყოველმხრივათ და დაწვრილებით ეხება დამქირავებელსა და დაქირავებულის ურთიერთობას, მეორე კი მხოლოდ რამოდენიმე საკითხს იღებს და იმასაც ფრიად უმნიშვნელოს. მათი შრომის კანონმდებლობა თავსდება 30-40 ჩვეულებრივ ფორმატის ფურცელზე, ჩვენი კი, თუ ავიღებთ მხოლოდ იმას, რომელიც ეხლა მოქმედებს და გამოვაკლებთ ყველა გაუქმებულს—იკავებს ორასამდე ფურცელს. მარტო ეს განსხვავებაც საკმაოა, იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენი კანონმდებლობა დაწვრილებით ეხება დაქირავებული შრომის მოწესრიგების ყველა საკითხებს. არ დარჩენილა არც ერთი შრომის საკითხი, რომ ის ყოველმხრივ არ იყოს გადაჭრილი ჩვენი კანონმდებლობით.

მენშევიკების დროს შრომის კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა ყველა დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებზე. მშრომელების მნიშვნელოვანი ნაწილი დატოვებული იყო მის გარეშე.

მოვიყვანოთ შედარებითი ცნობები, თუ ვისზე ვრცელდებოდა მენშევიკების დროს კანონები და ვისზე არ ვრცელდებოდა:

საბჭოთა ხელისუფლების დროს

1. შრომის კანონი ვრცელდება ყველა დაქირავებულზე, განურჩევლად იმისა — სახელმწიფო გამოდის დამქირავებელი თუ კერძო პირი.
2. ვრცელდება შინამოსამსახურეებზე.
3. ვრცელდება იმათზედაც, ვინც სამუშაოს იღებს დამქირავებელისაგან სახლში გასაკეთებლათ.
4. ვრცელდება სამხედრო წარმოება-დაწესებულებებში თავისუფლათ დაქირავებულ პირებზე.
5. ვრცელდება სოფლის მოჯამაგირეებზე, მწყემსებზე და სხვა დაქირავებულ პირებზე სოფლათ (გამოშვებულია სპეციალური წესები, რომელიც დაწვრილებით აკანონებს მოჯამაგირეების შრომის დაცვას).

მენშევიკების დროს

1. არ ვრცელდებოდა სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში მომუშავეებზე.

მენშევიკების შრომის კანონმდებლობას აქ აღნიშნული კატეგორიები სრულებით არ ჰქონდა მხედველობაში. მათთვის კანონით შრომა არ იყო მოწესრიგებული.

ზევით მოყვანილ ცნობებიდან ჩანს, რომ მშრომელთა საგრძნობი ნაწილი მენშევიკების დროს შრომის კანონის გარეშე იყო დატოვებული და მათ ექსპლოატაციას არაფერი არ უდგებოდა წინ. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა კი ვრცელდება ყველა დაქირავებულზე გამოუკლებლივ. იმ მომუშავეთათვის, რომელთა შრომის პირობები სპეციფიურია, საბჭოთა კანონმდებლობითი ორგანოების მიერ გამოცემულია ცალკე წესები, სადაც მიღებულია მხედველობაში შრომის ამ დარგის თავისებურება. მაგალითად, გამოცემულია სოფლათ დაქირავებული შრომის (მოჯამაგირეების) დაცვის წესები, რომელიც დაწვრილებით ეხება დამქირავებლის და დაქირავებულის ურთიერთობის ყველა მხარეებს გამოუკლებლივ. ეს წესები უფრო ვრცელია და მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე მენშევიკების მთელ შრომის კანონმდებლობას—ერთად აღებულს. სხვა დარგებშიაც გამოცემულია დაწვრილებითი წესები. მაგალითად, ხე-ტყის მასალების დამზადება, გადაზიდვა, ტივებით ჩამოტანა და სხვა ამ დარგის მომუშავეთათვის არის სპეციალური დადგენილება.

არსებითათ, როგორც უკვე ვსთქვით, მენშევიკების შრომის კანონმდებლობა მეფის კანონმდებლობას ბევრათ არ გასცილებია. მენშევიკების დროს მეფის სამრეწველო შრომის კანონები ძალაში დარჩა. ამას არ უარყოფს თვით მენშ. დროის შრომის მინისტრი ერაძე, რომელმაც 1919 წელში პროფესიონალურ კავშირების ყრილობაზე გულახდილად განაცხადა: თუმცა 1920 წელში მენშევიკების მიერ გამოცემული იყო ეგრეთწოდებული „კანონი შრომის ხელშეკრულებისა“, (რომელმაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია თვით მენშევიკების რიგებშიაც), მაგრამ ამ კანონის გამოცემით მეფის სამრეწველო შრომის კანონები ნაწილობრივათ ძალაში იყო დატოვებული. ეს პირდაპირ არის ნაჩვენები ამავე მე-9 მუხლში.

ავიღოთ მუშათა სოციალური დაზღვევის დარგი. ამ მხრივაც მენშევიკები სრულებით არ გასცილებიან მეფის კანონებს. შრომის სამინისტროს მიერ გამოცემული იყო მეფის მთავრობის 1918 წლის მუშათა სოციალური დაზღვევის კანონი. არავითარი შეცვლა ამ კანონში მენშევიკებს არ შეუტანიათ და სრულიად ატარებდენ ცხოვრებაში მას. თუ რას წარმოადგენდა ეს კანონი, მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ მენშევიკების შრომის სამინისტროს მიერ გამოცემულ ცალკე წიგნაკში, რომელსაც სათაურათ აწერია: „ახალი კანონები მუშათა დაზღვევისა“. შეცდომის თავიდან ასაცილებლათ უნდა ითქვას, რომ ახალი კანონი ჰქვია მას არა იმიტომ, რომ მენშევიკებმა მართლა ახალი კანონი გამოუშვეს, არამედ იმიტომ, რომ თვით მეფის კანონს ჰქონდა სახელწოდება „ახალი“, ვინაიდან 1918 წელში ძველი კანონი შეცვლილი იყო.

მარტო ამით რომ გავათავოთ შედარება საბჭოთა და მენშევიკების შრომის კანონმდებლობის—საკმარისი იქნება. მაგრამ საკითხის კიდევ უფრო გაშუქებისათვის, შევეხოთ მას დაწვრილებით.

ავიღოთ სამუშაო დღის განსაზღვრის საკითხი. ერთი შეხედვით თითქოს აქ არაფერი განსხვავება არ არის საბჭოთა და მენშევიკების კანონმდებლობაში და პრაქტიკაში. მაგრამ თუ საკითხს განვიხილავთ არსებითათ—დიდ განსხვავებას აღმოვაჩენთ. მენშევიკების დროს კანონით ყველა საწარმოო დარგებისათვის 8 საათის სამუშაო დღე არსებობდა. ეხლა მთელ რიგ საწარმოო დარგებში, რომლებიც ჯანმრთელობისათვის საზიანო არიან, შემოკლებული სამუშაო დღე არის.

სამუშაო დღის ხანგრძლივობა

საბჭოთა ხელისუფლების დროს:	მენშევიკების დროს:
1. შავი-ქვის წარმოება (მიწის ქვეშ) 7 საათი	8 საათი
2. თამბაქოს წარმოება . . . 7 „	8 „
3. ქვა-ნახშირის წარმოება (მიწის ქვეშ) 7 „	8 „
4. პოლიგრაფიული წარმოება მთელ რიგ ჯანმრთელობისათვის საზიანო პროფესიებისათვის . . . . 6 და 7 საათი.	8 საათი

ზევით მოყვანილ საწარმოო დარგების გარდა, მთელ რიგ წარმოებებში ჯანმრთელობისათვის საზიანო პროფესიებისათვის შემცირებული იქნა 8 საათის სამუშაო დღე. ახევე ქიმიურ წარმოებებში და აღმშენებლობით საქმეში (წყალში მომუშავენი). საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების მხრივ ჩატარდა დიდი მეცნიერული მუშაობა. შესწავლილი იყო მთელ რიგ პროფესიების შრომის პირობები და იქ, სადაც აღმოჩნდა ჯანმრთელობისათვის საზიანო შრომის პირობები, შემოღებული იქნა შემოკლებული სამუშაო დღე და დაწესებული სხვადასხვა მოწამვლისაგან თავდასაცავი საგნების და კვების მიცემა (რძე, კარაქი და სხვა).

მენშევიკების დროს 8 საათის სამუშაო დღის შემცირება ჯანმრთელობისათვის საზიანო წარმოებებში ფიქრადაც არავის არ მოსვლია. პირიქით, ეს 8 საათის სამუშაო ფაქტიურად ბევრგან ცხოვრებაში არ ტარდებოდა. ამას გარდა, კიდევ, მენშევიკების შრომის კანონმდებლობა დღე და ღამეში 4 საათის წარმოების ნებას რთავდა. საბჭოთა შრომის კანონმდებლობით კი ზედმეტი საათების მუშაობის რიცხვი წლიურათ ერთ მომუშავეზე არ შეიძლება აღემატოს 120 საათს და ესეც იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში არის დაშვებული, რომლის შესახებ კანონში დაწვრილებით არის ნაჩვენები.

მოზარდების და მცირეწლოვანების სამუშაო დღე მენშევიკების დროს განსაზღვრული იყო 6 საათით 14—17 წლამდე. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი 14—16 წლამდე 4 საათის სამუშაო დღე არის და 16—18 წლამდე 6 საათის. შემოკლებულ სამუშაო დღისათვის მცირეწლოვანებს და მოზარდებს კანონით ეკუთვნით სრული სამუშაო ხელფასი, მენშევიკების შრომის კანონებით კი არა.

თუ რამდენათ ტარდებოდა ცხოვრებაში 8 საათის სამუშაო დღე, ამის დასამტკიცებლად საკმარისია მხოლოდ გადაიკითხოთ რკინის გზების პროფესიონალურ კავშირის 1919 წლის დამლევს მოწვეულ ყრილობის ოქმები. დელეგატების უმრავლესობა მოითხოვდა უმთავრესათ 8 საათის სამუშაო დღის დაცვას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ უფრო წვრილ წარმოებებში 8 საათის სამუშაო დღე არ ტარდებოდა. დასვენების მხრივაც არის განსხვავება ჩვენსა და მენშევიკებს შორის. ჩვენი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულია წელიწადში არა ნაკლებ ორი კვირის შვებულების მიცემა, საზიანო წარმოებებში მომუშავეთათვის კი არა ნაკლებ ერთი თვისა, მოზარდებისათვისაც (18 წლამდე) ერთი თვის შვებულება. კოლექტიური ხელშეკრულებებით შვებულების ხანგრძლივობა თითქმის ყველა წარმოება - დაწესებულებაში გადიდებულია. მენშევიკების შრომის კანონმდებლობით კი შვებულების მიცემის უფლება მუშა - მოსამსახურეებს არ ჰქონიათ. შვებულების მიცემა დამოკიდებული იყო თვით დამქირავებლის ნება-სურვილზე.

შვებულების გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების დროს არ განსაზღვრულა მარტო კანონით და ხელშეკრულებაში შეტანით, არამედ კავშირების მიერ მოწყობილია დასასვენებელი სახლები, სადაც ორი კვირიდან ერთ თვემდე იგზავნებიან მუშები უფასოთ და მგზა - მგზავრულზე. ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 18 ათასი მუშა-მოსამსახურე.

ფრიად საინტერესო არის, თუ როგორ სწყვეტდა მენშევიკების შრომის კანონმდებლობა მომუშავეთა დათხოვნის საკითხს. დათხოვნის საკითხების მოწესრიგებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ დათხოვნის საკითხის გადაწყვეტა მთლიანათ დამქირავებელზე არის დაკისრებული, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მომუშავე დამქირავებელს ყურმოჭრილ მონათ არ გაუხდა, ის მუდამ დათხოვნის საფრთხეში იქნება. მომუშავის დათხოვნის საკითხებში დამქირავებლის თვითნებობას შრომის დაცვის კანონი უნდა საზღვრავდეს. მენშევიკების შრომის კანონმდებლობით დამქირავებლის თვითნებობა კანონით არ იხაზღვრებოდა. პირიქით, კანონი აძლევდა დამქირავებელს დათხოვნის ფართო უფლებებს.

მუშების დათხოვნა

საბჭოთა კანონებით:	მენშევიკების კანონებით:
1. მომუშავის დათხოვნა უვარგისობის გამო არ შეიძლება მოხდეს, თუ ამის თანახმა არ არის მომუშავის წარმომადგენლები (საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი).	1. მომუშავის უვარგისობას და ვარგისობას თვით დამქირავებელი სწყვეტდა და თავის გადაწყვეტილებით ითხოვდა. მომუშავეთა კომიტეტის აზრს ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს ნიშნავს დამქირავებლის განუსაზღვრელ თვითნებობას.
2. თუ დაქირავებულმა სისტემატიურად არ აასრულა თავისი მოვალეობა, დათხოვნა ამ შემთხვევაში შეიძლება, მაგრამ მოვალეობის შეუსრულებლობა უნდა დადასტურდეს მომუშავეთა კომიტეტის მიერ.	2. მენშევიკების შრომის კანონებით კი მოვალეობის სისტემატიურად შეუსრულებლობის გამო დათხოვნა შეეძლო თვით დამქირავებელს. მართლა არ ასრულებდა მომუშავე მოვალეობას, თუ ეს დამქირავებლის მიერ იყო მოგონილი — ამის დამტკიცება საჭირო არ იყო. მოესურვა დამქირავებელს და დაითხოვა.

იმ თვითნებობით დათხოვნის საკითხებში, რომელიც დაკანონებული იყო მენშევიკების მიერ, არ იფარგლებოდა დამქირავებლის დიდი მადა. მენშევიკური კანონიც მას ამაში ხელს უწყობდა. აი, მაგალითად, მენშევიკების შრომის კანონში არის ისეთი მუხლი, რომელიც დამქირავებელს უფლებას აძლევს დაითხოვოს მომუშავე, თუ ის ვერ დაიმსახურებს დამქირავებლის ნდობას ან დაემუქრება დამქირავებელს. რას ნიშნავს ეს? ფაქტიურათ იმას, რომ დაითხოვე რევოლიუციონურათ განწყობილი მუშა. ასეთი ახსნა უდავო არის, ვინაიდან კერძო დამქირავებლის ნდობას ვერ დაიმსახურებს ასეთი მუშა, ან მოსამსახურე. ამას გარდა, რევოლიუციონურ პარტიაში ჩაწერილი მომუშავეებიც მენშევიკების კანონით დამქირავებელმა უნდა დაითხოვოს, ვინაიდან ის კაპიტალისტებზე ძალმომრეობის მომხრე არის. აქედან ცხადათ ჩანს, რომ მენშევიკების შრომის კანონმდებლობა იცავდა არა მუშათა კლასის ინტერესებს, არამედ ბურჟუაზიისას.

ეს ნათელია იქიდანაც, რომ მენშევიკების დროს მუშებს საარჩევნო უფლება მინიჭებული ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდზე რეალურათ კი მათ არ შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში და ყრილობებში, ვინაიდან ამისათვის გაცდენილ დროში მათ ხელფასი არ ეძლეოდათ. ცხადია, რომ მუშები არ არჩევდენ ხელფასის დაკარგვას და მათი უმრავლესობა ამჯობინებდა უარი განეცხადებია არჩევნებში და ყრილობებზე მონაწილეობის მიღებაზე.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობით მუშას ენახება და ეძლევა მისი საშუალო ხელფასი საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ ყრილობებზე და არჩევნებში მონაწილეობის დროს.

საინტერესოა როგორ სწყვეტდა მენშევიკების და როგორ სწყვეტს ჩვენი შრომის კანონმდებლობა კოლექტიური ხელშეკრულების საკითხს.

მენშევიკების შრომის კანონით კოლექტიური ხელშეკრულება შეიძლება დადებულიყო კავშირის და დამქირავებლის მიერ ან კიდევ დამქირავებელსა და მის მომუშავეთა მიერ. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა კი პირდაპირ ამბობს, რომ კოლექტიური ხელშეკრულება უნდა დაიდვას დამქირავებელსა და კავშირის მიერ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მწარმოებლისათვის გაცილებით უკეთესია დასდოს ხელშეკრულება არა კავშირთან, არამედ უშუალოდ თვით მუშებთან, ვინაიდან, როგორც მოწინააღმდეგე მხარე, ეს უკანასკნელი უფრო სუსტია, ვიდრე კავშირი.

ამას გარდა მენშევიკების შრომის კანონით დამქირავებელს შეეძლო მოეთხოვა კავშირისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობა კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევისათვის. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა კი პირდაპირ ამბობს: „კოლექტიური ხელშეკრულებით პროფესიონალური კავშირები არ აგებენ პასუხს თავის ქონებით“.

პროფესიონალური კავშირის არსებობის დაკანონებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ჩვენი შრომის კანონმდებლობა ყოველმხრივათ სწყვეტს ამ საკითხს. შრომის კოდექსში არის მთელი თავი, რომელიც დაწვრილებით აყალიბებს კავშირის უფლებებს. მენშევიკების შრომის კანონებით კი კავშირების არსებობის საკითხი არ არის ჩამოყალიბებული. მხოლოდ გაკვრით ეხება მენშევიკების შრომის კანონი პროფესიონალურ კავშირს, და ისიც იმიტომ, რომ მას დააკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევისათვის.

პროფესიონალურ კავშირების უფლებების დაკანონება

საბჭოთა ხელისუფლების დროს	მენშევიკების დროს
1. კავშირების ორგანოებს კანონით ეწყობიან ყველა წარმოება - დაწესებულებებში.	1. კანონით არ იყო გათვალისწინებული კავშირების ორგანოების არსებობა წარმოებებში და დაწესებულებებში.
2. კავშირის ორგანოს მოწყობის და მისი მუშაობის ხელის შეშლისათვის დამქირავებელი (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.	2. დამქირავებელი სრულებით პასუხს არ აგებდა კავშირის ორგანოს მუშაობის ხელის შეშლისათვის. შეეძლო კიდეც არ დაეშვა თავის წარმოება-დაწესებულებაში მუშათა კომიტეტის მოწყობა.
3. საბჭოთა შრომის კანონით (მუხლი 155) სახელმწიფოს ორგანოები მოვალენი არიან გაუწიონ დახმარება პროფესიონალურ კავშირებს (სადგომების დათმობით, სხვადასხვა შეღავათის მიცემით და სხვ.)	3. არავითარ მოვალეობას მენშევიკების შრომის კანონი არ აკისრებდა სახელმწიფო ორგანოებს კავშირების დახმარების გაწევის მხრივ.
4. მომუშავეთა კომიტეტის წევრის დათხოვნა შეიძლება მოხდეს კავშირის თანხმობით.	4. დამქირავებელს შეეძლო კომიტეტის წევრები დაეთხოვა და ამისათვის კავშირის დასტური მას არ სჭირდებოდა.
5. კომიტეტში ამორჩეული და კომიტეტისათვის განთავისუფლებულ მომუშავეს გადარჩევის შემდეგ უბრუნდება ძველი ადგილი.	5. არ ენახება ძველი ადგილი.
6. ადმინისტრაცია მოვალეა აცნობოს მომუშავეთა კომიტეტს წინასწარ, მომუშავის განზრახული დათხოვნა დააცნობოს აგრეთვე ახალი მომუშავეების მიღება.	6. მენშევიკების შრომის კანონებით ადმინისტრაცია არ არის ვალდებული აცნობოს მომუშავეთა კომიტეტს არც დათხოვნა და არც მიღება.
7. საბჭოთა კანონით პროფკავშირს აქვს მინიჭებული უფლება მოითხოვოს რომელიმე მოსამსახურის (ადმინისტრატიული პირებისაც) სამუშაოდან მოხსნა.	7. მენშევიკების კანონებით კავშირს მოსამსახურის მოხსნის მოთხოვნის უფლება არა აქვს.
8. მომუშავეთა კომიტეტის შესანახად კანონით ადმინისტრაცია ვალდებულია გაიღოს თანხა ხელფასის ერთ პროცენტამდე.	8. ადმინისტრაციას მომუშავეთა კომიტეტის შესანახად არაფერი არ ხდებოდა.
9. პროფკავშირების და მათი ადგილობრივ ორგანოების შესახებ არსებულ წესების დარღვევისათვის დამქირავებელი სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს (ქონების კონფისკაცია და სამი წლის ციხე).	არავითარ პასუხს მენშევიკების კანონებით დამქირავებელი არ აგებს კანონის წინაშე.

ზედმეტია კიდევ იმის ახსნა, რაც ზევით მოვიყვანეთ. ყველა დაინახავს, თუ რა განსხვავება არის პროფესიონალურ კავშირების დაკანონებულ უფლებებში მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს. მენშევიკების დროს პროფესიონალურ კავშირს არავითარი უფლება არ ჰქონდა მინიჭებული. დამქირავებელს შეეძლო არ დაეშვა თავის წარმოება-დაწესებულებებში მომუშავეთა კომიტეტის მოწყობა და მუშაობა. ამისათვის მას პასუხს არავინ არ მოსთხოვდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი, არა თუ არ დაშვება, არამედ მუშაობის ხელის შეშლაც სისხლის სამართლის კანონების წესით ისჯება.

მთელი რიგ მომენტებს, რომელიც კიდევ უფრო დაახასიათებს ჩვენსა და მენშევიკების შრომის კანონმდებლობას, ჩვენ, ადგილის სიმცირის გამო, არ შევეხებით. არ განვიხილავთ სოციალურ დაზღვევის დარგსაც, ვინაიდან განსხვავება მენშევიკების და საბჭოთა დაზღვევის შორის ისე დიდია, რომ ამის მიმოხილვას დასჭირდებოდა დიდი ადგილი.

შევჩერდებით მხოლოდ ერთ საკითხზე: როგორ ატარებდენ ცხოვრებაში მენშევიკები შრომის კანონებს, იყო თუ არა რაიმე მეთვალყურეობა? უნდა ითქვას, რომ ის ფრიად შეკვეცილი შრომის კანონმდებლობაც, რომელიც მენშევიკებს ჰქონდათ, ცხოვრებაში ძალიან ძვირად ტარდებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა შემთხვევა რომ მენშევიკების დროს ვინმე დაესაჯოთ შრომის კანონების დარღვევისათვის. პასუხისგებაში მიცემა თითქმის სულ არ სწარმოებდა, ერთი ორი გამონაკლისის გარდა. მეთვალყურეობაც ძალიან სუსტი იყო. საბჭოთა ხელისუფლება კი შრომის კანონების გატარებაზე მეთვალყურეობას ძალიან ენერგიულად აწარმოებს. 22 წლ. 25 წლამდე შრომის ინსპექციამ მოახდინა წარმოება-დაწესებულებათა თორმეტი ათასი დათვალიერება. შრომის კანონების დარღვევისათვის დასჯილთა რიცხვი რამოდენიმე ათასს აღწევს. თბილისში სპეციალური შრომის სასამართლო არის მოწყობილი, სადაც მხოლოდ იხილავენ შრომის კანონების დარღვევის საქმეებს.

ბევრი საკითხი კიდევ დარჩა გაუშუქებელი, მაგრამ ესეც ცხადყოფს, თუ რა განსხვავება არის მენშევიკების და საბჭოთა შრომის კანონმდებლობაში, მის გატარებაში და მუშების შრომის დაცვაში.

ს. გოდაბრელიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა

ოზურგეთი, 6 მარტი. დაარსდა საზოგადოება „შემოქმედელი", რომლის მიზანია საშუალებათა გამონახვა ოზურგეთ-შემოქმედს შორის ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზის გასაყვანად.

ამ ქამად თავდება გზის ხარჯთაღრიცხვის შემუშავება.

ახალი სკოლების აშენება

შორაპანი, 6 მარტი. შორაპნის კომუნალურმა მეურნეობამ შეადგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ორ ახალ შვიდწლედის ასაშენებლად სოფ. ხიქთარუაში და ზედასაზანოში.

გაზაფხულზე აშენებას შეუდგებიან.

ვერმორელის აპარატები

ქუთაისი, 6 მარტი. გლეხობა განიცდის ვერმორელის აპარატის (გოგირდის და შაბიამნის მოსასხურებელი მანქანების) ნაკლებობას. გლეხების მოთხოვნილება მიმდინარე წელს ვერ იქნება დაკმაყოფილებული.

სიმინდი

შორაპანი, 6 მარტი. სამაზრო გლეხკომმა ჩრდილო-კავკასიაში 10 ვაგონი სიმინდი შეიძინა. სიმინდი განაწილებული იქნება მაზრის ღარიბ გლეხებს შორის.

კერძო ბაზარზე ფუთი სიმინდი ფასობს 2 მანეთად, კოოპერატივებში 1 მ. 75 კაპ.

გლეხკომებს აქვთ საშუალება სიმინდი 25 პროცენტით ნაკლებ გაჰყიდონ ვიდრე კოოპერატივები ჰყიდიან.

გლეხკომების კონფერენცია

შორაპანი, 6 მარტი. დამთავრდა გლეხკომების სამაზრო კონფერენცია.

კონფერენციამ აღნიშნა გლეხკომების სუსტი ხელმძღვანელობა საბჭოთა და პარტიულ ორგანოების მხრივ.

შემუშავებულია გეგმა მომავალი წლისათვის. გლეხკომებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ფონდების გაფართოებას და მიმდინარე მუშაობის გაძლიერებას.

წერილები

სოფრომ ბერი—სოფრომ მღვდელი

(საწირე, ქუთ. მ.)

ოკრიბა ცნობილია, როგორც ღარიბი კუთხე. თან აქაურ გლეხებმა კარგა ხანია გაუტეხეს გული წმინდა მამების მაცხოვრებს და ზურგი აქციეს ეკლესიას. ამიტომ უჯამაგირო მღვდლები აქ სიმშილისაგან ფერდებს დასტოვებდა. ეს კარგად იცოდა ოკრიბელ მღვდლებმა, როცა საეკლესიურს და ბარძიმ-ფეშხუმს თოხი და ბარი არჩიეს და „ერის" კალთას შეუდგნენ.

მაგრამ ოკრიბას უბედურებასთან ერთად დიდი უბედურებაც ახლდა თან. ეს გახლავთ გელათის და მოწამეთის მონასტრები, რომლებიც ყოველი კუთხიდან იზიდავდნენ ცრუმორწმუნეობის მოციქულ ბერებს. მონასტრების დაკეტვის შემდეგ ეს ბერები ახლო მახლო სოფლებს მოედვნენ. მღვდლები თუ გადაშენდებიან, ბერები ხომ ჯერ-ჯერობით ცოცხალი არიან. მათ არც მთავრობის ჯამაგირი უნდა, არც ხალხის შეწირულებანი. ბერი ცივი მჭადით და მარილითაც დაკმაყოფილდება, ოღონდ მიეცი მას მღვდელმსახურების უფლება.

ბერი სოფრომ ცქიფურიშვილი კი ამითაც არ დაკმაყოფილდა. ის საწირის თემში დაეუფლა სამ ეკლესიას, თავი მღვდლად გამოაცხადა, ხურჯინსაც პირი გაუხსნა და შეუდგა მუცლის, უკაცრავად ღვთის მსახურებას. დადის სოფრომ ბერი სოფლიდან სოფელში და აგიტაციას ეწევა. ღმერთი რომ არ ყოფილიყო, მთავრობაც არ იქნებოდა მას და ეკლესიების ხელახლა გახსნის ნებას არ დართავდაო.

ს. სამტრედიის გლახობას არ აქვს საკუთარი ეკლესია. სოფრომიც ჩაჰკიდებია ამ სოფლის მოხუც გლეხებს: ააშენეთ ეკლესია, თუ გინდათ, რომ უფალმა თქვენი ცოდვები შეიწყნაროსო. თუ ვინმე გარდაიცვალა ამ სოფელში, მღვდელი უბრალოთ თავს არ შეიწუხებს. თქვენ უსჯულო ხალხი ხართ, დღემდი ეკლესია ვერ აგიშენებიათ.

ასეთი პროპაგანდით სოფრომ ბერმა უკვე გაიჩინა თანამგრძნობთა ჯგუფი. ზოგიერთები მართლა ალაპარაკდნენ ეკლესიის აშენებაზე. სოფრომის ხურჯინს კი მოსდის და მოსდის ამასობაში, სხვამ იკითხოს, თორემ მამაო სოფრომს არაფერი დაუკარგავს გელათის მონასტრიდან საწირემდე სვლით. „ეს ქვეყანა დუმაა—თალე და ჭამე, თუ ბრიყვები კიდევ არ გამოლეულან"—აი სოფრომ მღვდლის წმინდა მორალი.

მიხა ცქიფურიშვილი.

გაფიცვა ზომლეთში

(ს. ვანი, ზომლეთის თ., გურია)

ამას წინათ ჩვენ მოვიწერეთ მეუღლე მასწავლებლებ ზაქრო და თამრო ჯაშების ლომ-გმირობაზე, რომლებმაც ჩვეულებისამებრ ჩხუბი ასტეხეს ერთ გლეხის ოჯახში, სადაც ისინი მოწვეულნი იყვნენ სუფრათ და რიგიანად დაუზილეს გვერდები სხვა იქ მყოფ მეჯინეებს. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს და მეუღლე მასწავლებლებს გამოუჩნდათ წყვილად სასწავლებლის კედლებიდან.

მაგრამ დახეთ ზაქროს ოინბაზობას. ამ ყმაწვილს [illegible]-შორით ამბ-ბიჭები ბლომათ ჰყავს თემში. დატრიალდა ზაქრო. მივარდა თემაღმასკომის თავმჯდომარესთან, აიღო ნებართვა კრების მოწვევის შესახებ, აარჩევინა კრებას სამი კაცი მაზრაში გასაგზავნად, რომ არ წაეყვანათ სული და „უდანაშაულო" ჯაშები უადგილოთ არ დაეტოვებინათ. მაგრამ თუ მოქალაქეთა მოსაწვევად ზაქროს ნებართვის აღება დასჭირდა, სკოლა ხომ მისი სამფლობელო იყო. აქ ჯაშებმა გადაბირეს გულჩვილი მოწაფეები და სკოლაში გაფიცვა მოაწყობინეს: „დაგვიბრუნეთ ჩვენი საყვარელი უჩიტლები, თვარა სკოლაში ისე ფეხს არ შევადგამთო".

როგორც იქნა დაბალი ჯგუფის მოწაფეები დაითანხმეს შტრეიკბრეხერობაზე და გაფიცულთა ფრონტი გაარღვიეს, მაგრამ უფროს ჯგუფის მოწაფეები მტკიცედ იდგნენ ძმური სოლიდარობის ნიადაგზე და სკოლას ახლო არ გაკარებიან. აღმასკომი კი გულდამშვიდებით უყურებდა ამ სურათს და თითსაც არ ანძრევდა ბავშვების დასაშოშმინებლათ.

კარგი ბიჭია და ნუ დააკმაყოფილებს მაზრა ზომლეთის თემის მასის მოთხოვნილებას. მაშინ ზაქრომ და ამ მისმა მრევლმა იცის, როგორ უნდა მოიქცნენ. ხუმრობა საქმე ხომ არაა, საბჭოთა რესპუბლიკაში გაფიცულთა მოთხოვნილების აბუჩად აგდება? მაშ რისთვის ვიბრძოდით, რისთვის ვღვრიდით სისხლს მეფის ჯალათებისა და ლაქია მენშევიკებთან ბრძოლაში?

ხაფანგი.

ხმა ბორჯომის ხეობიდან

(ს. ახალდაბა)

ახალდაბაც თავისი ადგილ-მდებარეობით, ჰავით და ამასთანავე გოგირდის წყლებით ყურადღებას იპყრობს.

ყველა ეს თვისებები არა ერთსა და ორ მოგზაურს იზიდავს ზაფხულობით, რომლებიც თავისუფლად ისვენებენ აქ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ახალდაბა ერთგვარ პატარა საწარმოო კუთხესაც წარმოადგენს, [illegible] არსებობს [illegible] სახერხი ქარხანა და არიან მუშები.

ყველა ამ თვისებებთან, ერთ დიდ ნაკლოვანებას აქვს ადგილი ახალდაბაში; ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ სოფელს შუა ჰყოფს მდ. მტკვარი, რომელზედაც არ არსებობს ხიდი და მის ნაცვლად მუშაობს ბორანი. წყალდიდობის დროს ეს ბორანი უქმდება და ხშირად სოფლის ერთი ნაწილი თვეობით სრულიად სწყდება მეორეს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თემის ყველა დაწესებულებები სოფლის ერთ ნაწილშია თავმოყრილი, უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება გლეხების გაჭირვება ასეთ პირობებში. ამავე მიზეზის გამო სოფლის ერთი ნაწილის მოწაფეობა სწყდება სწავლას.

ახალ დაბაში არსებობს კოოპერატივიც, სადაც საქონელი მოაქვთ ბორჯომიდან ურმებით; წყალდიდობის დროს, ვინაიდან ბორანი გაუქმებულია, ურმებს უხდებათ ჩასვლა ქვიშხეთში და იქიდან დაბრუნება ახალდაბაში, რაც აგრძელებს გზას 7 ვერსით.

ადგილობრივმა აღმასკომმა უკვე მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება და დაადგინა ახალდაბის ორი ნაწილის ერთმანეთთან შეკავშირება ხიდით, მაგრამ ჯერ-ჯერობით დადგენილება დადგენილებად რჩება.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება უფრო უმაღლესმა ორგანოებმა და ახალდაბის აღმასკომის დადგენილებას ხორცი შეასხას.

ამასთანავე, საკურორტო სამმართველოს საყურადღებოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაური გოგირდის წყლები უსარგებლოდ იღვრება და მდინარეს მიაქვს. არც გლეხობას და არც თემაღმასკომს საშუალება არა აქვთ აბანოს აგებისა და ამ ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენების.

ბ—ლი.

უბედურება, რომლისგანაც არავინაა დაზღვეული

(ს. ზომლეთი, გურია)

ნათქვამია, გაჭირვებულ— კაცს ქვა აღმართში მიეწიაო. ქვა აღმართში ვერავის დაეწევა, მაგრამ, გაჭირვებულ ადამიანს, უბედურება ერთი მეორეზე ემატება. ასეთი უბედურება თავს დაატყდა, ჩვენი სოფლის ერთ წევრს, ქვრივ ქრისტინე მახარაძისას და მის ობლებს, რომლებიც შრომის უნარ-დაკარგულნი და უსუსურნი არიან. მათ სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ერთიანათ გადაიწვა მთელი სცხოვრებელი. ზარალი აღწევს 6.000 მანეთამდე.

ქვრივ-ობლები, ეხლა სხვის ოჯახში იმყოფებიან. თემის მცხოვრებლები ცდილობენ შეძლებისდაგვარათ აღმოუჩინონ მათ დახმარება, მაგრამ ნათქვამია, „ყვავს არ ჰქონდა ბუს გაჰქონდაო".—ზომლეთის თემი ისედაც ღარიბია და სხვისი დახმარებისთვის აბა სად სცხელა. გლეხკომს კი დღემდი გულგრილად უყურებდენ და ამიტომ ვერც მან შესძლო რაიმე დახმარების აღმოჩენა.

ეს მაგალითი საყურადღებოა. თვითეულ ოჯახს მოელის ასეთი ბედი, ხოლო დახმარების აღმომჩენი არავინ არის, რადგან სახლი და ქონება თითქმის არავის აქვს დაზღვეული.

აკ. კვაჭანტირაძე.

წერილებიდან

ნარიონალი უნდა დავაშროთ

(წერილი გურიიდან)

ნარიონალის ტბა აღმოსავლეთ გურიის, სენაკის და ქუთაისის მაზრების გლეხებში საკმაოთ ცნობილი ტბაა. განსაკუთრებით საგრძნობია ამ ტბის არსებობა სამ სოფლისათვის, რომელიც მის ახლო მდებარეობს. ტბა მალარიის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. იწამლება მისგან ჰაერი რამდენიმე ათეულ ვერსის მანძილზე და განსაკუთრებით შხამავს ამ ტბის ანაორთქლი გურია - სამეგრელო - იმერეთის სამ სოფლის გლეხებს.

დიდს და პატარას ამ სოფლებში ადამიანის ფერი არ ადევთ. სიკვდილი სჭარბობს დაბადებას. გლეხები განუკურნავ მალარიითაა შეპყრობილი, რომლის ნიადაგზედაც ფართეთ იდგამს ფეხს სხვა სახის სნეულებაც. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ამ სოფლის მცხოვრებთა სხვაგან გადასახლება, მაგრამ ჯერ ერთი საამისო თავისუფალი მიწა არსად არის და რომც გადაასახლო ისინი, ნარიონალის განმანადგურებელ სენს თავს ვერ დააღწევს სხვა უფრო მოშორებით მდებარე სოფლები, რომელთაც საკმარისათ სწვდება ამ ტბის მავნე გავლენა. გარდა ამისა იმ უბედურებასთან ერთად, რომელსაც იწვევს ნარიონალის არსებობა, ტბას დადებითი თვისებებიც აქვს. მის ირგვლივ მდებარეობს იშვიათი მოსავლიანი ადგილები.

ამ ორიოდე წლის წინათ ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადასწყვიტა მიშველებოდა ნარიონალის ტბის ახლო მცხოვრებ გლეხებს. გაიგზავნა ინჟინერი და სათანადო იარაღები. სოფლებმა უფასოთ მუშაობა არ დაიშურა. შეუდგნენ ტბის გაშრობას. არხი ორი ვერსის მანძილზე გაიჭრა. გლეხების აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მაგრამ მუშაობა შეჩერდა. იარაღები დღეს უქმათ ყრია. დაუსრულებელი არხი დაზიანდა და მეორე ტბათ გადაიქცა. ხშირია შემთხვევა, როცა საბალახოთ გარეკილი საქონელი ცვივდება ამ არხში და იმტვრევა.

ასეთ მდგომარეობას რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოეღოს ბოლო. ხალხი მზათაა უკანასკნელი მოიკლოს და ხელისუფლებას დაეხმაროს საქმის ბოლომდე მიყვანაში. ვფიქრობთ, რომ როგორც ცენტრალური ისე დაინტერესებული სამაზრო ორგანოები არ დააყოვნებენ მუშაობის განახლებას ნარიონალის ამოსაშრობათ.

გლეხები: ამბროსი დოლიძე და კოსტა ყაჭეიშვილი.

განმანადგურებელი ზნე-ჩვეულებანი

(ზემო-სვანეთი)

არა მგონია, რომ საქართველოს რომელიმე მაზრაში ისეთი უბედური ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი იყოს, როგორიც ზემო-სვანეთში. სანიმუშოთ მოვიყვანთ რამოდენიმე ზნე-ჩვეულებას: **მიცვალებულის დატირება**: რაც უნდა ღარიბი—იყოს სვანის ოჯახი მიცვალებულის დატირების დროს აუცილებლად უნდა დახარჯოს 1.200 ცალი გამომცხვარი პური, (დაახლ. 30 ფ.), 4 ფუთი არაყი, ორი ძროხა და სხვა. შემდეგ იციან მიცვალებულის გამოსატირი, სულის სახსენებელია და სხვა. სადაც ამაზე მეტი იხარჯება თითქმის.

ფიცში ჩაყოლა. ამა თუ იმ საქმის გამოკვლევის დროს რომელიმე მცხოვრებზე მიიტანენ ეჭვს, რომ ამ საქმის სინამდვილე მას ეცოდინებაო. ეჭვ მიტანილმა უნდა დაიფიცოს, მაგრამ ვინაიდან ერთი კაცის ფიცს არ ენდობიან, მან აუცილებლად უნდა დააფიცოს 12 კაცი. დამფიცებლები უსასყიდლოთ არ თანხმდებიან დაფიცებაზე და ქირად თითოეულს ძროხა უნდა მისცეს.

სვანური მედიატორები. მიუხედავათ იმისა, რომ მაზრაში ორ უბანშია სახ. სასამართლოები, უმეტეს ნაწილად ყოველგვარი საქმეები მაინც ირჩევა სვანური წესით.

საქმის გასარჩევად უნდა დაჯდეს ხუთი მედიატორი. შესაძლოა მათ ხუთი მანეთის საქმე ვერ გააკეთონ, მაგრამ ხუთი ძროხა ან მისი საფასური მაინც იხარჯება.

მცირეწლოვან, ხშირათ ძუძუმწოვარ ბავშების დანიშვნა საცოლეთ და საქმროდ. ასეთი დანიშვნა ხშირად ხდება ხოლმე სვანეთში. შემდეგ არ არის იშვიათი ისეთი მაგალითი, როცა დანიშნულებს ერთი მეორე აღარ სურთ. სვანურ წესების ძალით დამწუნებელმა უნდა გადაუხადოს დაწუნებულს 12 ძროხა.

ვინ იცის კიდევ რამდენი ასეთი ზნე-ჩვეულება აქვთ სვანებს, რომელიც დღემდეც ვერ მოუშლიათ და რომელიც ისედაც ღარიბ სვანის მეურნეობას მუსრს ავლებს.

გრ. ჭელიძე

სოფლის ქრონიკა

◆ სიღნაღის აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს ზომები ნარჩენილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფად.

◆ სვანეთის აღმასკომი აგებს ორსართულიან შენობას, რომელშიაც მოთავსებული იქნება აფთიაქი და სხვა დაწესებულებები.

◆ **ახალი ხიდები**. აღბულაღის სათემო აღმასკომი აკეთებს ახალ ხიდს მდ. ხრამზე სოფ. დაგეთხაჩინის მახლობლად და მდ. ალგეთზე სოფ. ანაგეთში.

◆ **ტყეების დაცვა**. ბორჩალოში არჩეულია საგანგებო კომისია მაზრის ტყეების დასაცავად.

◆ **ვაზის სანერგე**. დაბა ჭრებალოში ეწყობა ვაზების სანერგე.

◆ დუშეთის აღმასკომი ხსნის სახალხო თეატრს.

საბჭოთა არჩევნები

კულაკები მშრალზე დარჩნენ

(წერილი სიღნაღის მაზრიდან)

მიმდინარე არჩევნებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ამომრჩეველთა ცხოველი მონაწილეობა საარჩევნო ყრილობაზე. ასე მაგალითად ძირ-კოკის უბანში არჩევნებს დაესწრო ამომრჩეველთა 99 პროც., ზიარში 95 პროც., ჭანდრის უბანში 84 პროც.

გაიხსნებოდა თუ არა უბნებში საარჩევნო ყრილობა, სახლები თითქმის ყველა გამოკეტილი იყო. დედაკაცები ძუძუმწოვარა ბავშვებით აკვნებით არჩევნებში მოჰყავდათ. საარჩევნო კრებებზე დიდ აქტივობას იჩენდენ ქალები.

ხანში შესული გლეხები ამბობდენ: „ჩვენს სიცოცხლეში ასეთ მრავალ რიცხოვან და ცხოველ სასოფლო და საუბნო ყრილობებს არ შევსწრებივართო".

წლევანდელმა არჩევნებმა გამოაშკარავა, რომ გლეხკაცობაში საგრძნობლად გაიზარდა აქტივობა.

სიღნაღის პარტიულმა კომიტეტმა საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობის დაწყებისთანავე მიიღო ზომები ღარიბი და საშუალო გლეხების შესაკავშირებლად, და არჩევნებისათვის მოსამზადებლად. მთელ საქართველოში სიღნაღის მაზრა ისეთი კუთხეა, სადაც კულაკური აქტივობის და თავხედობის საშიშროება ყველაზე უფრო ძლიერი იყო. საბჭოთა არჩევნები აქ იყო კულაკური კონტრრევოლიუციის და შავი ზრახვების გამომჟღავნების საცდელი მინდორი. ამ არჩევნებმა კი სიცხადით გამოაშკარავა, რომ კულაკური და კონტრრევოლიუციონური ელემენტები გარიყულია, რომ საშუალო გლეხობა ღარიბ გლეხობას და მოჯამაგირეებს მხარს უჭერს და რომ პარტიის ხაზი სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მიმართ სათანადო სიფრთხილით, მოქნილობით და სისწორით არის გატარებული.

გურჯაანის რაიონი სიღნაღის მაზრაში კულაკების საბუდარი არის.— ამ რაიონის ერთ-ერთ უბანში კულაკებმა სცადეს ყოფ. მამასახლისის და ცნობილი კულაკის გაბტარულოვის საბჭოში გაყვანა. კულაკების ამ ცდის წინააღმდეგ მთელი ყრილობა წავიდა. ტარულოვი ერთხმად გააშავეს და ამის შემდეგ კულაკები არსად გამოჩენილან საარჩევნო ყრილობაზე.

გურჯაანის თემის ახალ საბჭოში არჩეულია 61 უპარტიო გლეხი, 31 პარტიის წევრი, 5 კომკავშირელი. საბჭოში არჩეულია 14 გლეხი ქალი.

ავ. ქოტუა.

საბჭოში არცერთი ქალი არ აურჩევიათ

(კურზუს თემი, სენაკის მაზრა)

მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან ცუდი ამინდი იყო (თოვლი მოდიოდა), ხალხი მაინც საკმაოდ დაესწრო არჩევნებს. კრებაზე სულ გამოცხადდა 455 ქალი და კაცი.

საბჭოში არჩეული იქნა 23 წევრი და 9 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში არჩეული იქნა 5 წევრი. ამავე საღამოს შესდგა საბჭოს სხდომა, რომელზედაც არჩეული იქნა აღმასკომი.

აღსანიშნავია, რომ ახალ საბჭოში არც ერთი ქალი არ იქნა არჩეული, მიზეზი მცხოვრებთა საერთო ჩამორჩენილობაა. ისინი ქალებს ძალიან უნდობლათ უყურებენ. ახალ საბჭოს წევრთა უმრავლესობა უპარტიო გლეხებისგან შესდგება.

ვ. ქიქავა.

პარტხელმძღვანელობა მტკიცე იყო

(ლეხაურის თემი, გურია)

27 თებერვალს აქ მოხდა საბჭოთა არჩევნები; მიუხედავათ ცუდი ამინდისა, კრებაზე გამოცხადდა ამრჩეველთა 50 პროცენტი.

საბჭოში დასახელებულ იქნა ოთხმოცდაათი კანდიდატი.. პერსონალური კენჭის ყრის შემდეგ არჩეულ იქნა ორმოცდაერთი დეპუტატი. მათ შორის: კომპარტიის წევრი რვა, პარტიის კანდიდატი ხუთი, კომკავშირელი ერთი და დანარჩენი უპარტიო. საბჭოში არჩეულია ხუთი ქალი.

ამავე დღეს შესდგა საბჭოს კრება, სადაც მოხდა პრეზიდიუმის და სამაზრო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

აღსანიშნავია, რომ კომუჯრედი და კომკავშირი საკმაოდ დარაზმული გამოვიდა არჩევნებში.

ჩაქუჩი.

არჩევნები ჩვენს თემშიაც დამთავრდა

(ხაბუმის თ., ზუგდიდის მაზრა)

ხაბუმის თემში არჩევნები 28 თებერვალს მოხდა. არჩევნებს ხალხი ბლომათ დაესწრო. სულ არჩეულ იქნა 32 დეპუტატი. მათ შორის 7 კომუნისტი და დანარჩენი უპარტიო. საბჭოს წევრათ არჩეულია აგრეთვე 2 ქალი.

მეორე დღეს შესდგა ახალი საბჭოს სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა აღმასკომი. აღმასკომში 2 კომუნისტი და ერთი უპარტიო ამხანაგი არის არჩეული. თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ისევ ძველი აღმასკომის თავმჯდომარე.

ბელარა.

ცოცხალი არჩევნები

(წითელი ხევი, ქუთაისის მაზრა)

საბჭოთა არჩევნები დაიწყო 24 და დამთავრდა 26 თებერვალს. გლეხობა არჩევნებში ცოცხალ მონაწილეობას იღებდა.

საბჭოში არჩეული იქნა 31 წევრი და 8 კანდიდატი. მათ შორის, საბჭოს წევრად არჩეულია კომპარტიის წევრი და კანდიდატი—9 კომკავშირელი—2 უპარტიო—20.

[illegible]

ახალი აღმასკომი მუშაობას შეუდგა

(დ. ჩოხატაური.)

28 თებერვალს, მოხდა ჩოხატაურის თემის საბჭოთა არჩევნები. ამ დღეს ამინდი მეტად ცუდი იყო. სთოვდა და ქარიც ქროდა,—მაგრამ, მიუხედავათ ამისა, არჩევნებით დაინტერესებული ხალხი, დანიშნულ ადგილს მრავლათ გროვდებოდა. თემში ითვლება 6670 კაცი არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 2,200 კაცს. გამოცხადდა კი 1400. საბჭოში არჩეულია 67 წევრი. მათ შორის კომუნისტი 49 და უპარტიო 18; მამაკაცი 59, ქალები 8.

იმავე დღეს მოხდა თემის საბჭოს აღმასკომის არჩევნები. თავმჯდომარეთ აირჩიეს კ. ცინცაძე, თანაშემწეთ ლ. ცინცაძე, მესამე წევრად კი ლ. ღამბაშიძე. ახალი აღმასკომი უკვე შეუდგა საქმეების მიღებას.

ირ. გოგოლაძე.

არჩევნები ყველგან დასრულდა

(თელავი)

მაზრაში საბჭოთა არჩევნები უკვე გათავდა.

არჩევნებში ამომრჩეველთა უმრავლესობა იღებდა მონაწილეობას, აღსანიშნავია ქალთა აქტივობა. ქალები არჩეული არიან საბჭოს გარდა, თემ-აღმასკომებშიც.

საბჭოთა წევრების დიდი უმრავლესობა ღარიბესი გლეხებია. აქ-იქ იყო შეძლებულ გლეხთა ცდა გაეყვანათ თავისი კანდიდატები, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საბჭოს შემადგენლობაში არჩეულია სოფლის ინტელიგენციაც: ექიმი, მასწავლებელი, კოოპერატორი და სხვა, რაც თავდებია მისი ნაყოფიერ მუშაობისა.

თვითონ თელავში საბჭოთა არჩევნები მოხდა 27 თებერვალს.

აქ ითვლება 10,000 მცხოვრები, ამათში სრულწლოვანია 5,133. საარჩევნო ხმის უფლება არა ჰქონდა 912 პიროვნებას, ხოლო ამორჩევის უფლება ჰქონდა 4,221-ს არჩევნებზე გამოცხადდა 2,457 კაცი. ამათში 1277 მამაკაცი და 1180 ქალი. სოციალ-შემადგენლობა: 1377 გლეხი მოქალაქე, 695 მუშა და 385 მოსამსახურე.

საბჭოში არჩეულია 100 წევრი და 33 კანდიდატი. გარდა ამისა წითელი არმიიდან არჩეულია კიდევ 14 დეპუტატი.

ახალ ამორჩეულ საბჭოს პირველი სხდომა მოხდა იმავე დღეს საღამოთი.

საბჭომ აირჩია სამაზრო ყრილობაზე გასაგზავნად 14 დელეგატი და 4 კანდიდატი, მათ შორის 4 წითელი არმიიდან.

3.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟის წევრთა კრება

კვირას, 7 მარტს, შესდგა თბილისის საფონდო და საქონლის ბირჟის წევრთა წლიური კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები, საბირჟო კომიტეტის საქმიანობის შესახებ და არჩეულ იქნა ბირჟის ახალი კომიტეტი.

ამხ. ქ. ჩხენკელის მოხსენება

ბირჟის საქმიანობის შესახებ 1924-25 წლ. განმავლობაში მოხსენება გააკეთა საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კ. ჩხენკელმა, რომელმაც პარალელი გაატარა ბირჟის წინა ორი წლის საქმიანობასა და უკანასკნელ წლის საქმიანობის შორის და აღნიშნა: თუ წინა ორი წლის განმავლობაში ბირჟის საქმიანობას ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა, უკანასკნელ წელში იგი პრაქტიკულ მუშაობას და დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

მის ამოცანას უმთავრესად შეადგენდა სავაჭრო ოპერაციების ხელმძღვანელობა ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ თბილისის ბირჟას დიდი მნიშვნელობა აქვს ა. კ. სხვა ქალაქებისათვის.

ბაზრის ხელმძღვანელობისა და მოწესრიგების საქმეში, როგორც მომხსენებელი აღნიშნავს თბილისის ბირჟას მჭიდრო კავშირი აქვს შ. ვ. კომისარიატთან, საგეგ. კომისიასთან და სხვა სათანადო ორგანოებთან.

შემდეგ მომხსენებელმა გააცნო კრებას ბირჟის ცალკე დარგების საქმიანობა. იგი შეეხო ბირჟის საქმიანობას კულტურულ-განმანათლებელ სფეროშიაც და აღნიშნა, რომ ბირჟამ ხონის საშუალო ინდუსტრიალურ ტეხნიკუმისათვის ყოველთვიური დახმარება 200 მანეთიდან გაადიდა 400 მანეთამდე. გარდა ამისა ერთდროულად მას მიუცია მისთვის 1000 მანეთი სახელოსნოს გასაფართოებლად; ამასთანავე კომერციული განათლების გავრცელების მიზნით პროფკავშირთა ხარჯზე მოქმედ კანტორის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებისათვის მას მიუცია 2 ათასი მანეთი.

გარდა კულტ-განმანათლებელი მუშაობისა, დიდია ბირჟის მონაწილეობა შეწირულებათა გაცემაშიც. ამ მხრივ უმთავრესი ადგილი უკავია ნაძალადევში რკინის გზელთათვის სახლის აშენებას, რაც დაჯდა 12 ათას მანეთი.

ბირჟის თითეული განყოფილების საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი მოხსენებები გააკეთეს კრებაზე ცალკე განყოფილებების ხელმძღვანელებმა.

კამათი

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, კამათის დროს უმთავრესი ყურადღება მიექცა მოხსენების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკი იყო კერძო ვაჭრობის შესახებ. კერძო ვაჭრები მოითხოვდნენ მათთვის საქონლის თავისუფალ მიცემას და ამბობდნ, რომ ამ საქონელს გაჰყიდიან შ. ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში.

კამათის დასრულების შემდეგ კრებამ დაამტკიცა ბირჟის: 1925—26 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით მოგება უდრის 5.900 მან. დამტკიცებული იქნა აგრეთვე ზოგიერთი ცვლილებები ბირჟის წესდებაში.

ახალი კომიტეტი

დასასრულ კრებამ აირჩია ახალი კომიტეტი შემდგარი 20 კაცისაგან, კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ერთხმად ამხ. კ. ი. ჩხენკელი.

მრეწველობის მდგომარეობა იანვარში

(საქ. საგეგმო კომისიის კონიუნქტურულ მიმოხილვიდან)

საკალენდარო სამუშაო დღეთა რიცხვის შემცირების გამო, მრეწველობის მთავარ დარგების ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვი 17 პროც. არის შემცირებული საანგარიშო თვეში, მიუხედავად იმისა, რომ მუშა-ხელი გადიდდა 2 პროც.

წ. წ. იანვართან შედარებით მუშა-ხელი 57,7 პროც. გაიზარდა, ფაქტიურად ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვი84,4 პროც. და პროდუქცია 76,7 პროც.

შავი-ქვის მრეწველობა

საანგარიშო თვეში ამოღებული შავი-ქვის რაოდენობა 8,1 მილ. ფ. უდრის. დეკემბერთან შედარებით შემცირდა25,9 პრ., ხოლო 1925 წ. იანვრისას 297,4 პროც. აღემატება. ასეთი შემცირება გამოწვეულია ერთის მხრივ ფაქტიურად ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის შემცირებით (21,8 პროც.) და მეორეს მხრივ ერთ კაც-დღის გამომუშავების 5,9 პროც. შემცირებით.

გარეცხილი შავი-ქვის რაოდენობა უდრის 1,2 მილ. ფ., ე. ი. 48,8 პროც. ნაკლებია ვიდრე დეკემბერში, ხოლო 853,2 და 127,9 პროც. მეტი ვიდრე წინა წლებში.

ქვა-ნახშირი

საანგარიშო თვეში ამოღებულია 6.576,8 ტონა ქვა-ნახშირი, ე. ი. 14,5 პროც. ნაკლები წინა თვესთან შედარებით, ხოლო 14,3 და 20,2პროც. მეტი ვიდრე 1925 და 24 წ. წ. იანვარში. ქვა-ნახშირის ამოღების შემცირება გამოწვეულია როგორც ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის შემცირებით (10,2 პროც.),ისე ერთ კაც-დღის გამომუშავების დაკლებით (4,7 პროც.)

ქვა-ნახშირის ამოღების თვიური პროგრამა 91,2 პროც. არის შესრულებული საანგარიშო თვეში. რაც შეეხება ქვა-ნახშირის რეალიზაციას ისიც შემცირებულა იძლევა 8,4 პროც., მისი დატვირთვა 12,6 პროც. შემცირებასთან ერთად.

თამბაქოს მრეწველობა

იანვრის განმავლობაში დამუშავებულია 111,1 მილ. ცალი პაპიროსი და 17,9 ათ. კილოგრამი თამბაქო,რაც შრომის ერთეულზე გადაყვანით 115,9 ათ. უდრის, ე. ი. 8,5 პროც. ნაკლებია, ვიდრე დეკემბერში. წინა თვესთან შედარებით პაპიროსის დამზადება 10,4 პროც. შემცირდა, ხოლო თამბაქოსი 82,1 პროც. გაიზარდა. 1925 წ. იანვართან შედარებით თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია 66,2 პროც. გაიზარდა.

პროდუქციის შემცირება აიხსნება საერთო კაც-დღეთა რიცხვის შემცირებით. დეკემბერთან შედარებით თამბაქოს მრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია 5,8 პრ. შემცირდა.

ტყავის მრეწველობა

იანვარში დამუშავებულია 4.571 მსხვილი და 2.166 წვრილი ტყავი, რაც მსხვილ ტყავზე გადაყვანით 4.992 ტყავს უდრის. დეკემბერთან შედარებით გაიზარდა 0,5 პროც. ტყავის მრეწველობის პროდუქცია ღირებულებით უფრო გაიზარდა, ვიდრე რაოდენობით, რადგან უფრო მაღალი ხარისხის ტყავია დამუშავებული.

1925 წ. იანვართან შედარებით ტყავის მრეწველობის პროდუქცია 113,2 პროც.გაიზარდა. პროდუქციის ასეთი ზრდა აიხსნება ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდებით (8,2 პროც.). ტყავის მრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია 1,1 პროც. გაიზარდა.

საპნის მრეწველობა

საპნის ქარხანამ დაამუშავა 15,9 ათ. ფ. სარეცხი საპონი, 929 თირმეტული ხელის საპონი და 410 ფ. გლიცერინი 81,3 ათ. მ. ღირებულების (1913 წ. ფასებით) ე. ი. 14,7 პროც. მეტი, ვიდრე დეკემბერში. პროდუქციის ზრდა გამოწვეულია ერთ კაც-დღის გამომუშავების გადიდებით (25,2 პროც.). საპნის ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია წინა თვესთან შედარებით 5,2 პროც. გაიზარდა.

ქუთაისის მაუდის ქარხანა

ქუთაისის მაუდის ქარხანამ დაამუშავა, საანგარიშო თვეში, ნართი—4.885 კილ., მოუთელავი შალი 4.561 მეტრი და მაუდი —5.579 მეტრი. ნართის დამუშავება გაიზარდა 14,4 პროც., მოუთელავი შალი უცვლელია, ხოლო მაუდის—50,8 პროც. შემცირდა. მოუთელავი შალის თვიური პროგრამა გადაჭარბებით შესრულდა (1,4 პროც.).

ამნაირად, აღნიშნული დარგების პროდუქციის საერთოდ დაკლება გამოწვეულია ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის შემცირებით. პროდუქციის რეალიზაციის შემცირება აიხსნება კონიუნქტურულ და ნაწილობრივ სეზონური პირობების გამო.

ქაღალდის ბაზარზე

ქაღალდის შემოტანის პერსპექტივები

გაძლიერებული მოთხოვნილება ქაღალდზე საბჭოთა კავშირში და ზოგიერთი ხარისხის ქაღალდის ნაკლებობა არა მარტო პროვინციაში, არამედ ცენტრშიაც ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ ნიადაგი იქმნება სპეკულიაციისათვის როგორც კერძო ვაჭრების, ისე ზოგიერთი კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანოების მხრივ.

ქაღალდის ცენტრალურ ტრესტის მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომები ამ სპეკულიაციის მოსასპობად. ქაღალდის გაყიდვა კერძო ვაჭრებზე სრულიად შეწყვეტილია; ქაღალდის განსაზღვრული რაოდენობა ეძლევა მხოლოდ კერძო სტამბებს, გამომცემლებს, შინა-მრეწველებს და სხვა.

მიმდინარე წელში ქაღალდის ცენტრალური ტრესტის თბილისის კანტორა, რომელსაც დაკისრებული აქვს ქაღალდის მიწოდება საქართველოსა და სომხეთისათვის, გეგმის მიხედვით მიიღებს 635.000 ფუთ ქაღალდს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში თბილისის კანტორას არ მიუღია გეგმით ნავარაუდევ რაოდენობის 22 პროც.

გასულ წელში ქაღალდის ცენტრალურ ტრესტის მიერ საქართველოში შემოტანილი იყო სულ 350.000 ფუთი ქაღალდი; ეს რაოდენობა არ აღმოჩნდა საკმარისი. რის გამო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო იძულებული იყო შემოეტანა საქართველოში ქაღალდის დიდი პარტია.

ქაღალდის ცენტრალური ტრესტის ადგილობრივი განყოფილება საბითუმო ვაჭრობის გარდა აწარმოებს წვრილმან ვაჭრობასაც.

საბითუმო და საწვრიმალო ფასების განსხვავება უდრის 5 პროც. წვრილათ ყოველთვიურად იყიდება 2.000 ფუთამდე ქაღალდი.

ხორცის ბაზარზე

20-დან 28 თებერვლამდი თბილისში შემორეკილი იქნა დასაკლავად მსხვილფეხა საქონელი: ხარი—616 სული, ძროხა—84 სული, კამეჩი—160 ცხვარი—836, თხა—86 და ღორი—481 სული.

აქედან გარიგებებით გაიყიდა 596 სული, რომელთა ღირებულება უდრის 88.946 მანეთს.

რაც შეეხება ფასებს, ისინი სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ჯიშის საქონელზე: ასე, მაგალითად, ყარსის საქონელი საშუალოზე მეტი სიმსუქნისა იყიდება 6 მან. 30 კაპ.—6 მან. 61 კაპ. ფუთი; ჩრდილოეთ კავკასიის საქონელი საშუალო სიმსუქნისა იყიდება 6 მან. 75 კაპ.—7 მან. 10 კაპ. ფუთი. ადგილობრივი საქონელი საშუალო სიმსუქნისა იყიდება 5 მან.—5 მან. 80 კაპ. ფუთი (ცოცხალი წონა). მსუქანი ცხვრები წყვილი 52 მან. თუშური ცხვარი წყვილი 45 მანეთი. ღორის ხორცი იყიდება 13 მან. 80 კაპ. ფუთი.

საქონლის შემორეკვა უკანასკნელი დროის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. საქონელი უმთავრესად შემოჰყავთ ჩრდილოეთ - კავკასიიდან და ყარსიდან. მოთხოვნილება ხორცზე თბილისში გაიზარდა, ამის გამო მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

თებერვლის უკანასკნელი რვა დღის განმავლობაში [illegible] იქნა და ბაზარზე გამოშვებულია 767 სული მსხვილფეხა საქონელი, საიდანაც გამოვიდა 9.409 ფუთი ხორცი; წვრილფეხა საქონლიდან დაკლულია: ცხვარი—964, ხორცი გამოვიდა 1.485 ფუთი და ღორი—537, საიდანაც გამოვიდა 2.133 ფუთი ხორცი.

ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ მიღებულია ზომები საქონლის შემორეკვის გასაძლიერებლად.

პური და მანუფაქტურა ბამბის მეურნეებს

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ პურის შემოტანა ამიერ-კავკასიაში 1.800.000 ფუთიდან გადიდებული იქნეს 2.400.000 ფუთამდე. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა საშუალებას მისცემს ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს დაუბრკოლებლივ აწარმოოს პურის მიწოდება ბამბის მეურნე გლეხებისათვის.

2.400.000 ფუთი პური არა თუ სავსებით დააკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონების მოთხოვნილებას, არამედ დარჩება კიდევ ერთგვარი ფონდი—150—200.000 ფუთი, რომელიც შეიძლება მოხმარდეს სხვა რაიონების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელია საკითხი პურის მტკიცე ფასების შესახებ. გამოურკვეველია, რა ფასში უნდა მისცენ პურის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა პური საბამბო ორგანიზაციებს; ამჟამად მებამბეობის ორგანიზაციები პურს იღებენ 1 მან. 40 კაპ. ფუთს; ეს ფასი მეტად საზარალოა, რადგან ისინი ვალდებული არიან პური მიაწოდონ ბამბის მეურნე გლეხებს 1 მან. 50 კაპ. ფუთი.

ეს საკითხი განსახილველად გადატანილია შრომის და თავდაცვის საბჭოში.

რაც შეეხება მანუფაქტურას, მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით ბამბის მეურნეებს უნდა მიეღოთ 4.200.000 მეტრი მანუფაქტურა. ფართლეულობის მიწოდებაში შეფერხებას ადგილი არ ჰქონია. თებერვლამდი ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის მიერ მიღებული და დარიგებულია გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 60 პროცენტი.

მომავალში ფართლეულობის მიწოდება შეიძლება შეფერხდეს, რადგან ცენტრში ფართლეულობის მარაგი მეტად შემცირებულია. მიუხედავათ ამისა, ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი მაინც იღებს ზომებს, რომ კუთვნილი მანუფაქტურა დროზე იქნეს მიღებული და განაწილებული ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებს შორის.

მუშათა ცხოვრება

შენიშვნა

ჩვენი გაზეთის 7 მარტის №-ში, „მუშათა ცხოვრების" განყოფილებაში, მოთავსებული წერილი სათაურით: „მუშა ქალსია საერთაშორისო დღე", რომელიც წარმოადგენს რედაქციის მიერ გაუსწორებელ მასალას და, ამას გარდა,სავსეა კორექტურულ შეცდომებითაც,—გაშვებულია გაზეთში შეცდომით.

რედაქცია

მადლობა მოხუც მუშა-რევოლიუციონერს

საქართველოში არსებობს საქართველოს შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოება „თვითმშრომელი". საზოგადოება „თვითმშრომელი" არის დაარსებული პატივც. ამხ. მიხა ჩოდრიშვილის მიერ და ის იყო არჩეული თავიდანვე „თვითმშრომელ" საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეთ. მცხოვანი რევოლიუციონერი, დამსახურებული ხელოსანი, ფრიად პატიოსანი პიროვნება ამხ. ჩოდრიშვილი, როგორც კარგად მცოდნე შინამრეწველ ხელოსანთა ჭირვარამისა, რამდენადაც ეს მასზე, როგორც საპატიო თავმჯდომარეზე იყო დამოკიდებული, ის უდიდეს დახმარებას უწევდა საზოგადოებას და მისი მეოხებით საზოგადოება „თვითმშრომელს" ჩაეყარა მტკიცე და ურყევი საფუძველი.

ამჟამად „თვითმშრომელ" საზოგადოებაში ირიცხება რამოდენიმე ათასი წევრი. საზოგადოება დღითი-დღე იზრდება, ჰქმნის არტელებს, კოოპერატივებს და სხ. და ყველა ესენი ხდება ამხ. ჩოდრიშვილის მზრუნველობით. საზოგადოების წევრებიც მადლიერი არიან ამხ. მიხას ასეთი ყურადღებით და ა. წ. 20—21 იანვარს, ხელოსანთა საზოგადოების ცენტრალურ პლენარულ სხდომის დადგენილებით გადმოუგზავნენ ამხ. ჩოდრიშვილს შემდეგი მომართვა.

„დასავლეთ საქართველოს შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტის საპატიო მზრუნველს მ. ჩოდრიშვილს.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ 20—21 იანვარს მიმდინარე 1926 წ. იყო მოწვეული დასავლეთ საქართველოს შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების ცენტრალური გაფართოებული პლენარული სხდომა, რომელმაც ერთხმად აგირჩიათ თქვენ თავის საპატიო მზრუნველად და გამოხთქვამენ იმედს, რომ თქვენ, როგორც ძველი მებრძოლი, მხნე რევოლიუციონერი და დამსახურებული ხელოსანი არ მოაკლებთ თქვენ ყურადღებას დასავლეთ საქართველოს შინამრეწველ ხელოსნებსაც".

დასავლეთ საქართველოს შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების „თვითმშრომელი"-ს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კ. ლორთქიფანიძე, პასუხისმგებელი მდივანი: ფ. ხელაძე.

ბ—ია.

მუშკორები და მუშკოოპის საქმიანობის შესახებ

7 მარტს, ჩვენი გაზეთის რედაქციაში მუშკორთა მრავალრიცხოვან კრებაზე მუშკოოპის გამგეობის წევრმა ამხ. ობოლაძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება და გააცნო გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორებს მუშკოოპის საქმიანობა, რომელსაც ფართოდ აწარმოებენ მომხმარებლების ინტერესების დაცვის სფეროში იგი და მათი ხელმძღვანელნი.

ამხ. ობოლაძემ მუშკორთა კრებას სარკესავით გადუშალა ყოველგვარი საქმიანობა ციფრებით ხელში და დაანახვა, თუ რა მიღწევებია დღეს მუშკოოპის მოქმედებაში როგორც კერძო ვაჭრებთან ბრძოლის საქმეში ბაზრის დასაპყრობათ, ისე კოოპერაციის იდეების მუშათა კლასში გავრცელების საქმეში. წინანდელთან შედარებით დღეს მუშკოოპს აქვს 209-ზე მეტი სავაჭრო პატარა და წვრილი პუნქტები, სადაც იყიდება პირველი საჭიროების საგნები ფართო მომხმარებელთათვის.

გამგეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავათ ძალზე მცირე საპაიო თანხისა, (იგი უდრის 50.000 მან.) მუშკოოპის დუქნების ვაჭრობა ყოფილა საანგარიშო წელში 10 მილიონზე მეტი, რაც არას დროს არ ყოფილა წარსულში.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში კი მუშკოოპს მოუგია რამოდენიმე ასი ათასი მანეთი.

თუ წარსულში მუშკოოპის წევრთა რიცხვი რამდენიმე ათასით დაითვლებოდა, ეხლა მათი რიცხვი 24.000-ზე მეტია. მუშკოოპს აქვს საუცხოვოდ მოწყობილი რძის საწყობი, პურის საცხობები, ძეხვის ქარხანა, საშაქარლამო და სხვა.

ვინაიდან მოხსენება მუშკოოპის გამგეობის საქმიანობიდან ფრიად საინტერესო საგანს შეეხებოდა და ზოგიერთი მათგანი შეკითხვებს იწვევდა მუშკორთა მხრივ, ამხ. ობოლაძემ ყველა ამ შეკითხვებზე სათანადო განმარტება მისცა მათ. აგრეთვე მან განუმარტა მუშკორებს, რომ მუშკოოპს აქვს გახსნილი კოოპერატიული კურსები, სადაც მზადდებიან კოოპერაციის დარგში მომუშავე წითელი ნოქრები, დუქნების გამგეები და სხ., რომელთა ზრდილობიან მოპყრობას მომხმარებელთადმი მუშკოოპის მუშაობაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

დასასრულ კრებამ მოხსენების გარშემო მიიღო სათანადო რეზოლიუცია, სადაც ცნობილია მუშკოოპის მუშაობა დამაკმაყოფილებლად და გამოთქმულია სურვილი, რომ მუშკორებმა მეტი ყურადღება მიაქციონ მუშკოოპის მუშაობას, მას ყოველმხრივ დაეხმარონ და ხელი შეუწყონ მის წინსვლას; აგრეთვე გამოითქვა საერთო სურვილი, რომ ყოველ სამ თვეში ასეთი მოხსენებები იმართებოდეს მუშკორების კრებებზე, რასაც მოჰყვება მჭიდრო შეკავშირება საერთო ფრონტზე, საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში კოოპერატივის ხაზით.

ჩვენი გულწრფელი მუშური მადლობა ამხ. ობოლაძეს მოხსენებისათვის. ვუსურვებთ მუშკოოპის გამგეობას თავისი ნაყოფიერი მუშაობა უფრო გააძლიეროს, რაშიაც ჩვენც მათთან ვიქნებით.

მუშკორი უ—ნი.

მოგვეცით შუშა აღმასკომო!

მილიციის თანამშრომელთა ეკონომიური პირობები და მდგომარეობა არც ისეა მაინცა და მაინც სახარბიელო და კიდევ ამას ზედ ერთვის ზოგიერთი აუტანელი გაჭირვებები, როგორიცაა მაგალითად ცივ ზამთარში უშუშოობა. მართალია, შუშა თავის დროზე ყველა რაიონებმა მიიღეს, მაგრამ ბევრ რაიონებში უკვე გამოილია და სიცივეში მუშაობა შეუძლებელი ხდება. კანცელარიის მუშაკებზე რომ არა ვსთქვათ რა, მარტო მორიგეს 24 საათის განმავლობაში რამოდენიმე მილიციელით უხდება ცივ ოთახში ყოფნა და მუშაობა, რომლის ატანა შეუძლებელია. მოგვეცით შუშა!

მუშკორი მილიციელი.

ზედმეტ მუშაობას ბოლო უნდა მოეღოს

(წერილი ქ. გორიდან)

ამ ბოლო დროს ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში ძლიერ გახშირდა ზედმეტ საათებში მუშაობა. არის ერთი დაწესებულება, რომელიც მისი დაარსების დღიდან იწევა ზედმეტ მუშაობას; ეს არის კომუნალური ბანკი. აქ ყოველდღიურათ, საღამოს 5 საათიდან 10 საათამდე სწარმოებს „მუშაობა", საკვირველია, რას აკეთებს ეს ხალხი?

მემანქანე ქალს, ვინმე ამბრიაშვილს ჩვეულებრივ სამუშაო დროის განმავლობაში არა აქვს სამუშაო და საღამოს რაღა უნდა აკეთოს?

მიუხედავათ იმისა, რომ შრომის ინსპექტორმა რამდენჯერმე წინადადება მისცა მოეშალათ „ძველი ჩვეულება", მაინც არ იშლიან თავისას.

ბოლოს და ბოლოს ვის შეუძლია მოუღოს ბოლო ამ არასასურველ მოვლენას?

კოლი.

[illegible] მუშკორების წერილებიდან

— **ამ დაწესებულებას გაეროვნება სჭირდება.** სპილენძის სადნობ ქარხნის კანტორაში, რომელიც ეკუთვნის ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. სპილენძის ტრესტს, მიმდინარეობს საქმისწარმოება რუსულ ენაზე კანტორის გამგე იუზბაშევმა აქამდი ვერ გაიგო, რომ საქართველოს დაწესებულებაში საქმისწარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზე. საინტერესოა ვიცოდეთ, რა მიზეზით და ვისი განკარგულებით არის აქ რუსულად წარმოება.

მუშკორი ი.

— **ეს დადგენილება უნდა შესცვალოთ.** თითქმის ყოველ დღე სწერია გაზეთში და ისმის კერძო ხალხში გაიგონებთ, თუ როგორი ცუდი დამოკიდებულება არსებობს სახლის პატრონთა და მდგმურებს შორის. მაგალითად: თუ რომელიმე მოქალაქეს სურს აიღოს სიღარიბის მოწმობა, უნდა წაიყვანოს სახლის პატრონი სამილიციო კომისარიატში და მოაწერინოს ანკეტაზე ხელი, რომ მისი მდგმური ღარიბია, წინააღმდეგ შემთხვევაში სიღარიბის მოწმობას იგი ვერ აიღებს.

ეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ პროფკავშირების წევრები და ღარიბები ქირას იხდიან ნაკლებს და ამიტომ არსებობს ცუდი დამოკიდებულება მათ შორის. სახლის პატრონი არ მოუწერს ხელს სიღარიბის მოწმობაზე. იმათ, ვინც მეტ ქირას აძლევს მას (მდიდარს) უფრო ჩქარა მოუწერს იგი ხელს. აქ იჩაგრება საწყალი, ღარიბი ადამიანი. იმედია, ამ დადგენილებას შესცვლით. საჭიროა ორ მდგმურს დაეკითხოთ რომელიმე მდგმურის სიღარიბის შესახებ.

მუშკორი—ლი.

— **პროფკომის გადარჩევა.** 1 მარტს შესდგა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა მელითონეთა კავშირის წევრთა საერთო კრება. კრებას მიზნად შეადგენდა პროფკომის არჩევა. პროფკომის თავმჯდომარე დ. კაკაბაძემ მოხსენება გააკეთა, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა და აღნიშნა როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები ამ მუშაობის. შემდეგ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიამ. საერთო კრებამ სცნო პროფკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად და მადლობა გამოუცხადა პროფკომს ენერგიულ მუშაობისათვის. შემდეგ აირჩიეს ახალი პროფკომი.

მუშკორი შალი

— **აღმასკომის საყურადღებოდ.** თბილისის საერთო აბანოებში არა სინჯავენ მობანავეს შესვლის დროს. აქ კი ზოგჯერ მოდის ავადმყოფი ხალხი როგორც კანის, ისე ვენერიული ავადმყოფობით შეპყრობილნი. ბანაობის დროს ედება ეს სენი ერთი-მეორეს, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეთათვის. ამას რომ ბოლო მოეღოს, საჭიროა დანიშნული იქნეს ექიმი ან ფერშალი და საერთო აბანოში შესვლის დროს გასინჯული იქნეს [illegible] პირები. იმედია, ამას აღმასკომი მიაქცევს სათანადო ყურადღებას.

მუშკორი — შალი.

— **მადლობის ღირსია ეს მუშაკი.** 1-ლ უბანში ყაზბეგის ქ. № 11-ში არის მუშკოოპის ფურნე №24. აქ მსახურობს ამხ. ვანო გაგნიძე პურის გამყიდველად, რომელმაც მოიპოვა ხალხში ნდობა და პატივისცემა; მომხმარებლებს ეპყრობა ფაქიზად და მზრუნველობით. ჩვენ კოოპერაციით უნდა დავაინტერესოთ მომხმარებელი, რათა თავის გარშემო შემოკრიბოს მან ფართე მშრომელი საზოგადოება და როდესაც კოოპერაციის მომუშავენი კარგი გამყიდველები, თვით კოოპერაციაც მაღლა აიწევს. ასეთია სწორედ ამხ. გაგნიძე. ამიტომ მუშური მადლობა ამხ. გაგნიძეს.

მუშკორი ალი.

— **რას აკეთებს ეს კოოპერატივი.** ელისაბედის ქუჩის კუთხეში არის ერთი მუშათა კოოპერატივის დუქანი, რომლის კარი თითქმის სულ გამოკეტილია. ნეტავი, რას აკეთებს ეს „კოოპერატივი?".

მუშკორი ა. ბ—ძე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

1-ლი მარტისათვის აკრეფილია 1.138.558 მანეთი

მიმდინარე წლის პირველ მარტს გათავდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის უკანასკნელი ვადა.

ამ დროისათვის მთელს რესპუბლიკაში ავტონომიურ ოლქებთან ერთად შეგროვებული უნდა ყოფილიყო 1.506.087 მანეთი, ნამდვილათ კი შეგროვებული იქნა 1.138.558 მანეთი, ე. ი. დავალება შესრულებულია 75,6 პროცენტით.

კამპანიის დაწყებიდან მიმდინარე წლის პირველ მარტამდე ცალკე მაზრებში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეგროვებულია შემდეგი რაოდენობით:

ახალქალაქის მაზრა—61.155 მანეთი, ახალციხის მაზრა—37.091 მანეთი, ბორჩალო—146.110 მანეთი, გორი—122.316, დუშეთი—33.140, სიღნაღი—145.126, თელავი—86.606,თბილისის მაზრა—141.371, სამხრეთ-ოსეთი—21.891, ზუგდიდი—29.468, ქუთაისის მაზრა—64.837, ლეჩხუმის მაზრა—10.108, ოზურგეთი—20.127, რაჭა—18.087, სენაკი—45.042, შორაპანი—29.388, აჭარისტანი — 10.367 და აფხაზეთი—116.328 მანეთი; სულ მთელს რესპუბლიკაში აკრეფილია 1.138.558 მანეთი. ამრიგათ ასაკრეფი დარჩა კიდევ გაწერილი გადასახადის 24,6 პროცენტი.

წრევანდელი გადასახადის გარდა პირველ მარტამდე გასული წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენები შეგროვებულია 133.223 მანეთის რაოდენობით.

მიმდინარე წლის გადასახადის ის ნაწილი, რომელიც აუკრეფავი დარჩა პირველ მარტამდე, ითვლება ნარჩენათ და მასზე ყოველდღიურათ ირიცხება საურავი.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო კრედიტების გაღება მომავალ სამეურნეო წლისათვის საქონლის ჭირთან საბრძოლველად. ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა სთხოვოს რესპუბლიკების ცეკებს და სახალხო კომისართა საბჭოებს, რათა ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბეითლო საქმის გაუმჯობესებას მაზრებში, საბეითლო პუნქტების და ამბულატორიების ქსელის გაფართოებას, ექიმთა პერსონალის გადიდებას და მათ უზრუნველყოფას სათანადო საშუალებებით.

პროფკავშირებში

საუბნო კომიტეტების გადარჩევის კამპანია

ა.-კ. რკინიგზებზე დასავლეთ უბანში უკვე დაიწყო საუბნო კომიტეტების ხელახალი გადარჩევა. გზების დასავლეთ ხაზზე ხელახალი გადარჩევა ჩატარებულ იქნა: ბათომის, სამტრედიის და ხაშურის უბნებზე. კამპანიის უფრო აქტიურად ჩატარების მიზნით აქ გაემგზავრა ა.-კ. რკინის გზების საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **საბაშვილი**, რომელმაც ჩვენ თანამშრომელთან საუბარში გადარჩევის შედეგების შესახებ შემდეგი განაცხადა:

— საარჩევნო კრებებისადმი რკინისგზელები აღნიშნულ უბნებზე დიდ ყურადღებას და აქტივობას იჩენენ, რაც გამოიხატება მათის მხრივ ამ არჩევნებში მასიურად მონაწილეობის მიღებაში; საერთოდ უნდა ითქვას,რომ ჩვენ რკინისგზელებს ამ უკანასკნელ ხანებში დიდი აქტივობა ეტყობათ როგორც პროფესიონალურ მუშაობაში, ისე წარმოების დარგში. ამას სხვათა შორის ამტკიცებს ხაშურის უბანი, რომელიც აქამდე დასავლეთის ხაზზე ყველაზე დაბლა იდგა. პირადულ ნიადაგზე აღმოცენებულ ინტრიგებს თანამშრომელთა შორის ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული იქ, და ეს ძალზე უშლიდა ხელს ყოველგვარ მუშაობას. ეს ინტრიგები ახლა უკვე აღმოფხვრილია და რკინისგზელები ყოველგვარ საკითხს უდგებიან ობიექტიურად. ეს მათ დაამტკიცეს სხვათა შორის მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში, სადაც ყოველი მათგანის მითითება იყო სწორი და მართებული.

ასეთ მდგომარეობის დროს აღსანიშნავია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშაობის სისუსტე ამ.-კავკ. რკ. გზების თითქმის ყველა უბნებზე, რაც მოითხოვს სერიოზულ ყურადღების მიქცევას მათი საქმიანობის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში რკინისგზელები ბევრ რამით არიან უკმაყოფილონი. უპირველეს ყოვლისა რაც აღელვებს მათ, მდგომარეობს კოლექტიურ ხელშეკრულების სავსებით არ დაცვაში. მაგ. მრავალია შემთხვევა, როდესაც მთელ რიგ მუშებისას ჯერ კიდევ არ აქვთ მიღებული სპეც-ტანსაცმელები და არც კონპენსაცია მათ ნაცვლად; არა აქვთ მიღებული აგრეთვე კუთვნილი საპრემიო ფულები.

შემდეგ, მუშები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ადმინისტრაცია ნაკლებ აქტივობას იჩენს საწარმოო თათბირებისადმი, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს მას, რადგან საწარმოო თათბირებში მონაწილეობა ადმინისტრაციისა მუშებთან ერთად აუცილებელი თავდებია შრომის ნაყოფიერების ზრდისა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა: ჩვენი რკინისგზელები, რკინის გზის მეურნეობის გაჯანსაღება-განვითარებით უდიდესად არიან დაინტერესებულნი და თუ ისინი არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი კანონიერ ფარგლებში, ეს დაინტერესება ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამისათვის როგორც ჩვენ, ისე რკინის გზის ადმინისტრაციამ ალღო უნდა აუღოს შექმნილ მდგომარეობას და არ დაუშვათ, რომ ჩვენი რკინისგზელები უკმაყოფილონი იყვნენ. ეს სხვათა შორის ხელს შეუწყობს რკინის გზებზე უბედურ შემთხვევების შემცირებასაც.

პროფმუშაობის ქრონიკა

მელითონეთა კავშირის ცენტრ. გამგეობაში.

— **ნარდ სამუშაოს შეფასების გადიდების შესახებ.** მელითონეთა კავშირის ცენტ. გამგ. მოისმინა მოხსენება ლითონტრესტში ნარდ სამუშაოს შეფასების გადიდებაზე და მიზანშეუწონლად სცნო ძველი შეფასების გადათვალიერება.

გადაფასება შესაძლებლად მიიჩნია იმ შემთხვევაში, უკეთუ შემდეგში დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებაში იქნება ეს აღნიშნული.

— **„26 კომუნარის"—ქარხკომის მოხსენება.** მელითონეთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ წინადადება მისცა—„26 კომუნარი"-ს სახელობის ქარხკომს ახლო მომავალში მოხსენება გააკეთოს თავის საქმიანობაზე ცენტრ. გამგეობაში.

— **კავშირის ცენტრ. გამგ. ახალი წევრი.** მელითონეთა კავშირის ც. გამგეობის წევრად არჩეულია ამხ. ნიკო კიკნაძე.

— **დახმარება პიონერებს.** საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის აღნიშვნის ჩასატარებლად მელითონეთა კავშირი დაეხმარა ფულით პიონერებს.

რაჭის სამაზრო პროფბიუროში.

— **კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ.** რაჭის სამპროფბიუროს გამგეობამ გადასწყვიტა დასდვას კოლექტიური ხელშეკრულებები ყველა წარმოება-დაწესებულებებთან.

— **ხელშეკრულების დასადებათ.** რაჭის სამპროფბიურომ წინადადება მისცა ადგილობრივ მიწა-ტყის კავშირის მდივანს კოლექტიური ხელშეკრულება დასდოს მიწა-ტყის კავშირის ყველა წევრების დამქირავებელთან.

კავშირი 750 წევრებს აერთიანებს.

მეტყევეთა პროფკავშირში.

— **კულტმუშაობისათვის.** მეტყევეთა კავშირის ც. გამგეობამ დაადგინა: წრების მუშაობისათვის შეიძინოს საჭირო ლიტერატურა.

— **უმუშევართა ყოფა - ცხოვრების გამოკვლევა.** მელითონეთა პროფკავშირი მოკლე ხანში ჩაატარებს კამპანიას უმუშევართა ნივთიერი მდგომარეობის (ყოფა - ცხოვრების) გამოსაკვლევად.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** ამავე კავშირის კულტკომისიამ გადასწყვიტა ყოველ თვეში ორჯერ მოაწყოს წარმოდგენა მუშებისათვის.

— **უმუშევართა ფონდი.** მეტყევეთა კავშირმა დაადგინა, რათა კულტფონდიდან შემოსავლის ნახევარი გადაირიცხოს უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად.

ფეიქართა კავშირის ც. გ.-ში

— **საწარმოო კომისიების მუშაობა.** ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს საწარმოო თათბირი, სადაც ადგილებიდან მოსმენილი იქნება მოხსენება საწარმოო კომისიების მუშაობის შესახებ.

— **ინჟინერ - ტეხნიკოსთა სექციაში.** ფეიქართა კავშირმა დაავალა ინჟინერ - ტეხნიკოსთა სექციის გამგეობას მომავალ სხდომაზე გააკეთოს მოხსენება სექციის მომავალ მუშაობაზე.

— **მუშაობა ახალგაზრდათა შორის.** ამავე კავშირმა ახალგაზრდათა შორის მუშაობის გასაცხოველებლად გამოყო სპეციალური კომისია.

მზადება ბამბის თესვისათვის

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი გეგმა ნათესების სივრცის შესახებ მიღებულ იქნეს შემდეგი შესწორებებით: სომხეთში 18,700 დესეტინის მაგიერ დამტკიცებულ იქნეს 16,700 დესეტინა, საქართველოში 12,500 დესეტინის მაგიერ —10,000 დესეტინა, და აფხაზეთში 2,500 დეს. მაგიერ—2,000, სულ ამიერ-კავკასიაში 130.450 დესეტინის მაგიერ დათესილი იქნება 125,450 დესეტინა.

ნათესების სივრცის გეგმა აზერბეიჯანისთვის 96,750 დესეტინის რაოდენობით შეუცვლელად იქნა მიღებული.

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მებამბეობის განვითარების ტემპის შენელება გამოიწვია მთელ რიგ სამელიორაციო სამუშაოების შეუსრულებლობამ დანიშნულ ვადამდე. პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყოველივე ზომები მიიღოს იმისათვის, რათა სასწრაფოდ იქნეს დამთავრებული სამელიორაციო სამუშაოები.

სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე

„ფორდი"-ს ფირმა

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო დეპეშა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობისაგან ამერიკაში, რომ მსოფლიოში უდიდესი საავტომობილო ფირმა ჰენრი ფორდისა მიიღებს მონაწილეობას ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

„ფორდი" თბილისში აგზავნის 50 ცალ გაუმჯობესებულ ტრაქტორს ფორძონის სისტემისას და 5 მსუბუქ და 7 საბარგო ავტომობილს. გარდა ამისა გამოგზავნილი იქნება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ფორდის მიერ გამოგზავნილი იარაღმანქანები და ავტომობილები დაიჭერენ გამოფენაზე 1500 კვადრატიულ მეტრ სივრცეს.

მანქანებთან ერთად „ფორდი" გამოგზავნის აგრეთვე თავის წარმომადგენელსაც, რომელიც უხელმძღვანელებს გამოფენაზე სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოცდას.

თათბირი ტყის მეურნეობის საკითხებზე

თათბირის დახურვა

გუშინ დაიხურა ამ.-კავკ. სატყეო თათბირი, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

ტყეების მოწყობის შესახებ თათბირმა დაადგინა სასწრაფოდ იქნეს შემუშავებული დებულებები რესპუბლიკებში ტყის მოწყობის განსახორციელებლად.

თათბირი ამიერ-კავკასიის ტყეებს სთვლის ქვეყნის წყალთა რეჟიმის რეგულიატორად და ნიადაგის დამცველად.

რეზოლიუცია სატყეო მეურნეობის განვითარების შესახებ აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის სატყეო რესურსები არ არის საკმაო მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მსხვილი სატყეო მრეწველობის განსავითარებლად. საჭიროდ არის ცნობილი ხე-ტყის მასალების დამზადების მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკების მომზადება, სატყეო ტრესტების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ამ.-კავკასიის სატყეო მეურნეობა უნდა ვითარდებოდეს უმთავრესად ტრესტების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის შემწეობით და ამასთანავე საჭიროდ სთვლის ხე-ტყის დამზადებაში როგორც ცალკე გლეხების, ისე გლეხთა გაერთიანებების ჩაბმას.

ქრონიკა

კომისიის დაბრუნება

თელავიდან დაბრუნდა კომისია ინჟინერ ჭიჭინაძის მეთაურობით. კომისიამ რკინისგზების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა მიდამოები თელავსა და სოფელ ახმეტას შორის რკინისგზის შტოს გაყვანის მიზნით.

თბილისის აღმასკომში

◆ **მუშათა სახლების შეკეთება.** აღმასკომმა დაამთავრა აგურის ქარხნებში მომუშავეთა სახლების შეკეთება.

◆ **სახლების განათება.** აღმასკომი შეუდგა მის განკარგულებაში მყოფ სახლებში საგანგებო განათების მოწყობას.

◆ **ტრამვაის სამმართველო** შეუდგა ტრამვაის ლიანდაგის გაყვანას უნივერსიტეტიდან—სემინარიამდე.

მიწათმოქმედების კომისარიატში

◆ **აგრონომების ყრილობა.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ახლო მომავლისათვის თბილისში იწვევს სრ. საქართველოს აგრონომების ყრილობას.

◆ **ამერიკული ვაზის სანერგე.** კომისარიატმა შეადგინა ხვანჭკარა-ჭრებალოს ამერიკული ვაზის სანერგეს გაშენების ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით სანერგე დაჯდება 34,144 მან.

◆ **ბაჟის შემცირება.** მიწათმოქმედების კომისარიატის დადგენილებით ქვასატეხ ადგილებზე ქვების დამუშავება-გატანის ბაჟი შემცირებულია.

◆ **საგეგმო კომისია.** კომისარიატთან არსდება საგეგმო კომისია ყველა განყოფილებების გამგეთა მონაწილეობით.

◆ **სატყეო განყოფილებასთან** ტყეების დაცვისა და ექსპლოატაციის მიზნით არსდება მუდმივი სათათბირო კომისია, რომელშიაც შედიან სამხედრო დაწესებულებების, სატყეო ტრესტის, რკინის-გზის, საკურორტო სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

◆ **ცხენთსაშენი განყოფილება.** მიწათმოქმედების კომისარიატის დადგენილებით დაუქვემდებარდა სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას.

განათლების კომისარიატში

◆ **ცენტრ. არქივის რევიზია.** განათლების კომისარიატმა შეადგინა კომისია ცენტრ. არქივის რევიზიის მოსახდენათ.

◆ **გამასწორებელ სახლებთან (№ 1 და 2)** არსებულ წ. კ. სალიკვიდაციო პუნქტების სასწავლო ნივთებით მოსამარაგებლად განათლების კომისარიატმა გადასდო 175 მან.

◆ **რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მომავალ სასწავლო წლისათვის გამოითხოვოს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 159 ადგილი.

დამზღვევ სალაროში

◆ **სარძეო დახმარება.** გასული თვის განმავლობაში თბ. დამზღვევ სალარომ გასცა 18,277 მან. სარძეო დახმარება.

◆ **დროებით შრომის უნარ დაკარგულებს.** 1925 წელში თბ. დამზღვევმა სალარომ დაურიგა 101,900 მანეთი გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად.

სხვადასხვა

◆ **ხე-ტყის დამზადება.** სვანეთის სატყეო რაიონში სატყეო ტრესტი ამზადებს უცხოეთის ბაზრისათვის 30,00 კ. ფუტ წაბლის ხეს.

◆ **სესხი.** საქ. სას.-სამეურნეო ბანკმა დილომის საკრედიტო ამ.-ბას გადასცა 2000 მ. გლეხებისათვის სესხის მისაცემად მუშა-საქონლის შეძენის მიზნით.

◆ **სახ.-სამ.** ბანკმა სას.-სამ. კოოპ. ამხ-ბას: „ახალ ცხოვრებას" სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად მისცა გრძელ-ვადიანი სესხი.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** სამშაბათს, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე, შესდგება ქართული ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

შემთხვევები

◆ **ძმის დაჭრა.** 7 მარტს, მოქ. გრ. ტყეშელაშვილმა, ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დასჭრა თავისი ძმა ვლადიმერი.

◆ **გვამის პოვნა.** 6 მარტს, მოქ. მიხ. ვუღელეში მტკვრის პირად იპოვეს მოქ. სირანუშ სარაიდაროვის გვამი.

◆ **თავის დაჭრა.** 6 მარტს, მოქ. მიხ. შუჩიანმა დაიჭრა თავი.

◆ **ცეცხლი.** 7 მარტს, საბჭოს ქ., № 97, მალაკანთა კოოპერატ. მაღაზიას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ **ქურდი ქმარი.** ცოლის გაქურდვისათვის, 7 მარტს შეიპყრეს მოქ. ლავრენტი ლოლაძე.

◆ **შეპყრობა.** 6 მარტს, ქურდობისათვის შეიპყრეს გიორგი გოჩიაშვილი.

◆ ამავე დღეს, მუშკოოპის საწყობიდან ფართლეულობისა და შეკერილი ტანისამოსის მოპარვისათვის შეიპყრეს ვასილ გრიგოროვი.

◆ 7 მარტს, შეიპყრეს გიორგი გუდაბრელიძის დაჭრისათვის მოქ. სარდიონ ჯალიაშვილი.

◆ **ქურდობა.** მოქ. ანნა ჩოქვინიძის ბინიდან მოიპარეს 45 მ. ღირებული საოჯახო ნივთები.

ავტომობილის მსხვერპლი

გუშინ, დღის ათ საათზე, რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის თეატრის წინ, ავტომობილმა, რომელსაც მართავდა შოფერი კაზიმირ კაზიმირისძე საპზეგა, გასრისა უცნობი მოქალაქე, რომელიც ტრამვაის ელოდებოდა. მას არ აღმოაჩნდა პირადობის მოწმობა. გვამი გადაგზავნილი იქნა რესპ. მთავარ საავადმყოფოში. შოფერი შეიპყრეს.

არაფერი ეშველა

8 მარტს, დილის 10 საათზე, ოპერის წინ ავტომობილმა გასჭყლიტა ერთი კაცი.

შოფერების ასეთ თარეშს უკვე რამდენიმე წელიწადია ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ აქამდის მას კიდევ აქვს ადგილი.

შეიძლება ბევრმა სთქვას, რომ არსებობს დეკრეტი ჩქარ და ზომიერ მიმოსვლის შესახებ. ეს ასეა, მაგრამ დეკრეტის შესრულებაზე ხშირათ არავინ იწუხებს თავს.

ორი დღის წინეთ, კომინტერნის ქუჩიდან გამოტყორცნილი ისარივით მოჰქრის ავტო. ეტყობა უმიზნებს სასახლისაკენ. შოფერი თავს არ იწუხებს არც შენელებაზე, არც გაფრთხილებაზე. მგზავრები დაფრთხენ და სასწრაფოთ გადახტენ არდი-გარდმო. მეც კინალამ გამიტანა.

ბოლოს საჭიროა ვიცოდეთ:

მოძრაობის შესახებ გამოსულ დეკრეტს აქვს რამე პრაქტიკული მნიშვნელობა, თუ არა?

ვინმე.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ახალგაზრდა მუსიკოსთა საზ-ბამ** განათლების კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მუდმივი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

◆ **რევოლიუციონურ თეატრის სტუდიას განათლების კომისარიატმა ერთდროული დახმარების სახით გადასცა 200 მან.**

◆ **მომღერალი მჭედლიძე.** საოპერო სტუდიის მოწაფე, ახალგაზრდა მომღერალი (ბანი) მიხ. მჭედლიძე მუსიკალური განათლების დასამთავრებლად სახელმწიფო ხარჯზე მიემგზავრება ლენინგრადში.

◆ **მომღერალი დ. ანდღულაძე** ახლო ხანში გამოვა ოპერა „ტოსკა"-ში და „აიდა"-ში.

◆ **„მზეთა-მზე".** ხუთშაბათს, რუსთაველის თეატრში პირველად ქართულ სცენაზე წარმოდგენილი იქნება პირველი ქართული პანტომიმა „მზეთა-მზე", თამარ ვახვახიშვილისა.

◆ **ახალი რომანი.** ვასილ ბარნოვმა დასწერა ახალი რომანი ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

◆ **ფოთის დრამატიული დასი** დასადგმელად ამზადებს „ვიდრე ხვალუფალო"-ს, „კაცის სამართალი", „დამნაშავეა"? და სხვ.

◆ **სანდრო ინაშვილის** გასტროლები განახლებული იქნება ხუთშაბათიდან.

◆ **ევონ პეტრის** კონცერტი ქუთაისში გაიმართება 12 და 13 მარტს.

◆ **„აჩრდილის" მეორე ვარიანტი.** ჟურ. „მნათობმა" შეიძინა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის" მეორე ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნებულ ვარიანტზე თითქმის ორჯერ მეტია. პოემა იბეჭდება „მნათობის" მესამე ნომერში.

◆ **„ჯაყოს ხიზნები".** შალვა დადიანს პიესად გადაუკეთებია მიხ. ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები". პიესას დასდგამს მოსკოვის ქართ. სამხატვრო სტუდია.

◆ **„ტროის დაცემა"** კინო „მინიონ"-ში დაიწყო „ტროის დაცემა"-ს ჩვენება. ამჟამად მიდის 1 და 2 სერია.

◆ **თეატრი მცხეთაში.** მცხეთაში დასრულდა თეატრის აშენება. დეკორაციების დახატვა მინდობილი აქვს პროფ. მ. თოიძის სტუდიას.

◆ **„კინ".** სურათ „კინის" ჩვენება „აპოლო"-ში გაგრძელებულია მეორე კვირის განმავლობაში.

◆ **„ნიბელუნგები".** დღეიდან „არფასტო"-ში და „სოლეი"-ში ნაჩვენები იქნება „ნიბელუნგები"-ს მესამე და მეოთხე სერია.

◆ **„პიკის ქალი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი" პანკრატოვას, კიპარენკოს, ვენაძის და ალექსაშინის მონაწილეობით.

◆ **პრემიერები.** „მზეთა-მზე"-ს შემდეგ რუსთაველის თეატრში პრემიერებათ წავა „მეფე ლირი" და „ვირის ჩრდილი".

◆ **კორპორაცია „დურუჯმა"** შეფობა მიიღო ყოფ. ქავთარაძის სახელობის ფეხბურთელთა გუნდზე.

◆ **„ფიზიკური კულტურა".** გამოვიდა ჟურნალ „ფიზიკური კულტურის" თებერვლის ნომერი.

◆ ოთხშაბათს, 10 მარტს, დღის 1 საათზე, ხელოვნების სასახლეში, ხელმეორედ შესდგება პროლეტარულ მწერალთა გამგეობის (ნ. ზომლეთელი, ს. ეული, გ. ბუხნიკაშვილი, კ. კალაძე, შ. დუდუჩავა, ა. მაშაშვილი, ბ. ბუაჩიძე, ლ. ესაკია, გ. ხუჩუაშვილი, რონდელი, და გ. შინატეხელი) სხდომა. პერსონალურად მოწვეულ არიან: ამხ. ვ. ბახტაძე, ს. თოდრია, გ. მუშიშვილი, რ. კალაძე, შ. ნავთლუღელი, ალ. სულავა

დღეს კინოებში

◆ აპოლლო—„კინ".

◆ არფასტო— „ნიბელუნგები" მე-3 და 4 სერია.

◆ სოლეი—იგივე.

◆ მინიონი—„ტროის დაცემა!.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„არსენალი" — „პოლიტეხნიკუმი"

კვირას, 7 მარტს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა არსენალის რაიონის და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება.

უნდა ითქვას, რომ პოლიტეხნიკუმის გუნდი წელს შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად შესუსტებულია. გუნდს აკლია რამდენიმე ძველი გამოცდილი მოთამაშე. მიუხედავათ ამისა, გუნდი მაინც გაზაფხულის სეზონის ერთ-ერთი საინტერესო მონაწილე იქნება.

რაც შეეხება არსენალის რაიონის გუნდს, იგი დიდი ხანი არ არის, რაც გადაირიცხა პირველ კატეგორიაში. გუნდი უმთავრესად შესდგება ახალგაზრდა მოთამაშეებისაგან, მიუხედავათ ამისა, მთლიანად საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს. ახალგაზრდა ფეხბურთელებს ემჩნევათ ხალისი და თამაშის ტექნიკის გაუმჯობესება.

კვირის შეჯიბრება არ წარმოადგენდა დიდ ინტერესს, რამდენათაც ორივე გუნდი რამოდენიმეთ მოდუნებულად თამაშობდა. შეჯიბრი გათავდა 2:1 პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდის სასარგებლოდ.

ყოფ. „ქავთარაძე" მე-2-რე—ყოფ. „მახარაძე"

იმავე დღეს გაიმართა მეორე კატეგორიის გუნდების შეჯიბრება, რომელშიაც ერთმანეთს შეხვდნენ ყოფ. ქავთარაძის სახელობის მეორე გუნდი და ყოფ. ფ. მახარაძის სახელობის გუნდი.

აღსანიშნავია ქავთარაძის სახელობის მეორე გუნდის დაკვირვებული და მოხდენილი თამაში. გუნდი დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა, შემადგენლობა სულ ახალგაზრდობაა 16—17 წლამდე, მიუხედავათ ამისა, გუნდს საკმაოდ შეუთვისებია ფეხბურთის ტექნიკა და კოლექტიური თამაშის მნიშვნელობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდამსხმელთა და დამცველთა შემადგენლობის გაბედული და ლამაზი თამაში.

ყოფ. მახარაძის სახელობის გუნდს, მეორე კატეგორიის გუნდებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; გუნდში არიან კარგი მოთამაშეები, მაგრამ მათ აკლიათ კოლექტიური ნებისყოფა, რასაც ფეხბურთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

შეჯიბრი მეტად ცოცხლად ჩატარდა. ამ შეჯიბრებამ ცხადჰყო ქავთარაძის სახელობის მეორე გუნდის აშკარა უპირატესობა თამაშის ტექნიკის მხრივ მოპირდაპირესთან შედარებით.

შეჯიბრი გათავდა 4:0 ყოფ. ქავთარაძის სახელობის გუნდის სასარგებლოდ.

„დურუჯი"

აკადემიური დრამის მსახიობთა კორპორაცია „დურუჯმა" შეფობა მიიღო ყოფ. ქავთარაძის სახელობის ორივე გუნდებზე. ამიერიდან ეს გუნდები იარსებებენ აკადემიურ დრამასთან და ყველა შეჯიბრებებში გამოვლენ „დურუჯი"-ს სახელით.

„დურუჯს" ექნება თავისი განსაკუთრებული ფორმა, რომლის გამომუშავებაზე მუშაობს ამჟამად მხატვარი ირ. გამრეკელი.

ახალი სტადიონი

საქართველოს სასპორტო საზოგადოება „დინამო" უკვე შეუდგა მუშაობას ახალი სტადიონის მოსაწყობათ პლეხანოვის პროსპექტზე.

სტადიონი მზად იქნება მიმდინარე წლის პირველი მაისისთვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, დილის სრულ 8½ საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტკოლეგიის სხდომა.

კოლეგიის ყველა წევრები აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე.

თბილისის კომიტეტის საგიტ. - საპროპ. განყოფილების მდივანი: **კარელი.**

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპ., № 123,) შესდგება საწარმოო უჯრედების ბიუროების კონფერენცია მიმაგრებულ უჯრედების ბიუროებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1) პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა,
2) პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა,
3) საწარმოო უჯრედთა მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნო.

სამშაბათს, 9 მარტს, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის შენობაში, დღის 4 საათზე, შესდგება ქალაქის რაიონის მე-II-ე საფეხურის პარტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი.

აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები.

შტიკოვი, აკოპიანი, ელბაქიანი, ცხაკაია, ვაშაძე, სოლომონია, პეტიუხა, ჩაუსკი, შეიინი, სოჟუკი, პერცოვი, ბახტაძე, ისკანდაროვი, ზედია.

დღის წესრიგი

1) 2 დღიან სავალდებულო მეცადინეობაზე გადასვლა.
2) მოხსენებები ადგილებიდან.

ქალაქის რაიკომი.

ღრმად დამწუხრებული შვილები: მარიამ, თამარა, სოლომონ, ანტონ (კოწია), ნიკოლოზ და ვახტანგ; შვილიშვილები: ბიძინა, ქართლოს, ნუცა და თინიკო; რძლები: ნინო და ოლღა; ცოლის ძმა დავით კანდელაკი და სიძეები: ტარასი მორჩაძე და გრიგოლ დანგაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

იასონ მანუჩარის-ძე ახვლედიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, ხუთშაბათს, მარტის 11 ს, 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (თავისუფლების მოედნის მეორე შესახვევი, № 36). 1796

2—1

გულმოკლული და უნუგეშო დედა—ესმა ანტონის ასული კობალაძისა; შვილები მისი: ესე, სანდრო და მიშა კობალაძენი; რძლები: ანა, სიდონია და აგრაფენა—შვილებითურთ აუწყებენ მეგობართ, ნათესავთ და ახლობელ ნაცნობთ—პირველისათვის [illegible] დაუვიწყარი ასულის, მეორეთათვის—საყვარელი დის, მესამეთათვის—ძვირფასი მეგობრის

ცაცია ფილიპე კობალაძის ასულის

დოლიძის

მოულოდნელათ და უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება—სამშაბათს, 9 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის-ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ცხედარი გამოსვენებული იქნება საბჭოთა მეორე საავადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდრეს, კამოს ქ.). 1790 1—1

ღრმად დამწუხრებული ქმარი სერგო, დედამთილი პელაგი, მამამთილი ალექსი, მაზლები ივანე მეუღლე ვასიკოთი, და არტემა დოლიძენი, სიძე ივანე, მეუღლე მაროთი კალანდაძენი, ბიცოლა დარო შვილებით, იპოლიტე, მეუღლე ბაბულიათი და შიო დოლიძენი და სიძე ირაკლი, მეუღლე თამარათი ჩანთაძენი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარ და საყვარელ

ცაცია ფილიპეს ასული დოლიძის

უდროვოთ გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, 9 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე, მე-2-ე საბჭ. საავადმყოფოდან (ყოფილი ალექსანდრეს), დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1788 1—1

ვიქტორ და აკაკი კობალაძეები თავიანთი დებით მარიამი, ვერიკა და ნინუცა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქის მე-2-რე საავადმყოფოში (ყოფილი ალექსანდროვის), მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ბიძაშვილი

ცაცია დოლიძისა

გამოსვენება საავადმყოფოდან სამშაბათს, 9 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1800 1—1

ღრმ.-დ დამწუხრებულნი დედა ნატალია ისაკის ასული, მამა ივანე ესტატეს ძე, ძმები გიორგი, ნიკოლოზ, სვიმონ, ტიტიკო და ნინო, რძალი ნინო ალექსის ასული, ბებია დარია ლუარსაბის ასული გასიტაშვილები, მამიდები ტერეზია საგინაშვილისა, და მარიამ მელაძისა, სიძეები ვასილი საგინაშვილი და კოწია მელაძე ულრმესის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ ძვირფასის

ალექსანდრე (საშა) გასიტაშვილის

უდროოდ დაკარგვას ქ. ბერლინში 23 იანვარს, დაკრძალვა მოხდა იმავე ქალაქში 28 იანვარს. ორმოცი დღის წირვა გადახდილი იქნება დღეს, 9 მარტს ქ. გორში სამრევლო ეკლესიაში.

1793 1—1

ღრმად დამწუხრებული დედა ნატალია დავითის ასული, მამა ვლადიმერ ქაიხოსროს-ძე და ძმა კიტა ვლადიმერის-ძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

იულია ვლადიმერის ასული

თოიძე

რომლის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 10 მარტს, ქ. ოზურგეთში. 1789 1—1

სეზონის საუკეთესო სურათი

მოზჟუხინის, ლისენკოს და კოლინის მონაწ.

„კინი"

(გენიოსი და სალახანა)

ანონსი: ამ დღეებში „მეამბოხე ქალი". კ. ტოლმეჯის და კონვეი ტირლის მონაწილეობით.

აპოლლო არფასტო სოლეი

მსოფლიო შედევრის

„ნიბელუნგები"

3 და 4 სერია

(კრიმგილდას შურისძიება)

ერთ საღამოზე 2 სეანსი: 6 საათზე და 9 საათ.

კასა ღიაა საღამოს 4 საათ. 30 წუთ.

0—7 ნ. 869

არფასტო — სოლეი

დღეს და ყოველდღე

სერია ერთად **3 და 4** სერია ერთად

მსოფლიო შედევრი

ნიბელუნგები

(კრიმგილდას შურისძიება)

ერთ საღამოს მხოლოდ 2 სეანსი: საღ. 6 საათ. და 9 საათ.

სალარო ღია არის საღამოს 4 საათიდან და 30 წ.

სოლეი — არფასტო

ნ. 883 1—1

რუსთაველის თეატრი

დღეს, 9 მარტს,

დეზერტირკა

4 მოქმედებად

ხუთშაბათს, 11 მარტს,

პრემიერა პირველი ქართული პანტომიმა

მზეთა-მზე

1—1 ნ. 887

პროფ. გრ. მუხაძემ

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა

ავადმყოფების მიღება

მიღება სწ რმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77

25—7

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—14

ამიერ-კავკასიის ზომა-წონის მთავარ სამმართველოს და მის ქვემდებარე რესპუბლიკანურ ორგანოების—საქართველოს და სომხეთის მეტრიულ რეფორმის მთავარ კომიტეტების და აზერბეიჯანის მეტრიულ წონის კომიტეტის

სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ 1926 წლის 5 მარტიდან მეტრიულ რეფორმის გამტარებელი კომიტეტი („გლავკომეტრი" არსებული საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, გაუქმებულად ითვლება.

1-1 ნ. 884 სალიკვიდაციო კომისია

ა.-კავკასიის რკინის გზების გამგეობა

აცხადებს შეჯიბრებას

თბილისის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის შენობის პროექტის შესადგენათ. შენობა უნდა იტევდეს 400 მოწაფეს ინტერნატით—120 კაცს. შენობასთან ცალკე განზრახულია სახელოსნოს აშენება

შეჯიბრების საერთო პირობები

1. პროექტი უნდა შეიცავდეს: ნახაზებს, გეგმებს, ფასადს, გეგმებს გაჭრით და ხარჯთაღრიცხვას.
2. პროექტი უნდა იქნას წარდგენილი ამიერ-კავკასიის რკ. გზ. გამგეობაში ოთახი № 211, ვაგზლის ქ. 1, არა უგვიანეს ა | წ. 15 აპრილის დღის 12 საათისა.
3. ჟიური შეუდგება წარმოდგენილ პროექტების განხილვას 15 აპრილს,
4. საუკეთესო მოწონებულ პროექტებისათვის შესასრულებელ ნახაზით გადაკეთებით და ხარჯთაღრიცხვით დანიშნულია 2 პრემია:

   პირველი—1.500 **მან.**

   მეორე—1.000 **მან.**
5. ჟიურის მიერ დაწუნებული პროექტები უკანვე უბრუნდება ავტორებს.
6. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში (ოთახი № 211), დღის 12—2 საათამდე მეცადინეობის დღეებში.

გამგეობა

1—1 ნ. 870

საქართ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველო

ამიც აცხადებს, რომ თანახმად „ცუმტ"-ის ცირკულიარისა 10-დან 25 მარტამდე იქნება მოხდენილი

წლიური აღრიცხვა

მთელი ავტო-მოტო-მაშინების, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ყველა დაწესებულებანი და აგრეთვე კერძო პირნი, ვისაც აქვთ ავტო მოტო-მაშინები, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოში „ავტო-ინსპექციაში" მაჩაბლის ქუჩა № 8 (ყოფილი სერგიევის) მოწმობების წიგნაკი მიღებული ამიერ-კავკასიის ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს საავტომობილო განყოფილებიდან წლის აღრიცხვის შესატანათ წიგნაკებში.

ნ. 880 2—1

უკანასკნელ ხანებში ქალაქ თბილისში უპასუხისმგებლო პირების მიერ გავრცელებულია ხმები გადამდებ სნეულებების გამოჩენის შესახებ. ამ სნეულების წყარო თითქოს იყოს

ქალ. გოგირდის აბანოები

რისთვისაც იგინი დაკეტილია. აბანოების ადმინისტრაცია აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ეს

ხმები მოკლებულია ყოველნაირ სიმართლეს. ქალ. გოგირდის აბანოებში არ ყოფილა შემთხვევა ავადმყოფობის გადადებისა, რაც გამოცხადებული იყო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გაზეთ „კომუნისტ"-ში. ა-წ. 18 თებერვალს № 39 (1494) **გოგირდის აბანოები** არ ყოფილა დაკეტილი. **ისინი მუშაობენ ნორმალურად და მათში დაცულია იდეალური სისუფთავე.**

1-1 ნ. 886 აბანოების ადმინისტრაცია.

სახელმწიფო ოპერა დღეს, 9 მარტს,

პიკის ქალი

ოთხშაბათს, 10 მარტს

აბესალომ და ეთერი

1—1 ნ. 888

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ამით აცხადებს, რომ 27 მარტს 1926 წ. სოფ. მირზაანში სიღნაღის მაზრაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქონებისა ვასილი მალხაზისძე ლაფიაშვილის, რომელიც აღწერილია „ზაკგოსტორგის" ვალში, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართ. აღმასრულებელი ფურცლისა 16 მაისის 1925 წ. № 19149. სია გასასყიდი ქონებისა: ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი დახურული კრამიტით, მაღლა სამი საცხოვრებელ ოთახებით, დაბლა ერთი საცხოვრებელი ოთახი, მარანი ორი ქვევრით, ერთი თავლა და ორი ბინა—ერთი ცხვრის სადგომით და მეორე მწყემსებისათვის.

1-1 ნ. 879 სასამართლოს აღმასრულებელი **მავზაროვი.**

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ამით აცხადებს, რომ 25 მარტს 1926 წ. დაბა წითელ წყაროში სიღნაღის მაზრაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოძრავ ქონებისა ვასილი მალხაზის ძე ლაფიაშვილის, რომელიც აღწერილია „ზაკგოსტორგის" ვალში, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართ. აღმასრულებელი ფურცლისა 16 მაისი. 1925 წ. № 19149. სია გასასყიდი ქონებისა: 174 სული მაკე ცხვრები, 80 სული დედალი მცხვრები თითო წლისანი, 15 სული მამალი თხები, 9 სული ყოჩები, 15 სული დედალ-მამალი თხები, ოთხი სახედარი, 6 სული ფაშატი ცხენები, 5 სული კვიცი ორ ორწლისა და 3 კვიცი თითო წლის.

1-1 ნ. 879 სასამართლოს აღმასრულებელი **მავზაროვი.**

ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში მე-3-ე ინტერნაციონალის ქუჩაზე სახლი № 35, დანიშნულია 19 მარტს 1926 წ. დილის 12 საათზე საჯარო ვაჭრობა სიმონ ფიჩხაძის ქონების, ოჯახის მოწყობილობის, საჭურჭლე შკაფის, მაგიდის, კამოდის, კრესლების, ტანისამოსის შკაფის, პირსაბანის და სხვა სახლის მორთულობის, შეფასებულის სულ 321 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახელმწიფო ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

ნ. 882 1—1

ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე რაფიელ რიქინაშვილის სახლში № 4 დანიშნულია 19 მარტს 1926 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა მის, რაფიელ რიქინაშვილის ქონების, გასასყიდათ ქონება შეიცავს 65 ნაჭერ სხვადასხვა ფართლეულობას, შეფასებულებს 203 მ. 20 კ. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახელმწიფო ბანკის ფულების ძიების დასაკმაყოფილებლათ.

ნ. 882 1-1

დაკარგა ქუთაისის მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 324 აკაკი კუპუხიძის სახელზე ჩ. გ. 1—1

დაკარგა კოოპერაციის საწევრო წიგნაკი № 6017 ვასილ ივანესძე ჩხობაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა ხიდარიბის მოწმობა საარჩევნო უწყება ილარიონ პავლესძე ძნელაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 ნ. 881

დაკარგა სამხედრო საარიცხვო ბარათი № 356 იოსებ გიორგისძე ვარამაშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 1,795

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წევრობის წიგნაკი ივანე ხელაძეს სახელზე. ჩ. გ. 1—1 ქ. 1798

დაკარგა კავშ.რ. საწევრო წიგნაკი და პირადობის მოწმობა [illegible]კო ტატანაშვილის სახელზე ჩ გ. 1—1 1792

დაკარგა მოწმობა საშუალო სასწავლებლის № 170, მეტრიკული ამოწერილობა № 37, პირადი საარიცხვო წიგნაკი № 253, კლემენტი გაიოზისძე ბუკიას სახელზე ჩ. გ. 1—1 № 1791

დაკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4 მიხეილ სამონიძე მაჭავარიანის სახელზე ჩ. გ 1—1 1797

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 62 ილიკო ხიმში[illegible] სახელზე ჩ. გ. 1—1 1801

თბილისის კომუნალური ბანკი

ბალანსი

1926 წ. 1 მარტისათვის

კასა და მიმდინარე ანგარიშები	421.909—14	კაპიტალები ა) ძირითადი	2 000.000 00
ღირებულებანი	89.417—34	ბ) სათადარიგო	126.783—00
აღრიცხვა სპეც. მიმდინარე ანგარიშებისა თამასუქებს ქვეშ	2.703.947—06	მთავრობის სპეც. კაპიტალი საგანგ. დანიშნ.	835.240—00
საქონლის და სესხის ოპერაციები	1.008.586—01	„ „ აღმშენებლობისათვის	260.221—76
მიზნობრივი სესხები ა) მოკლევადიანი	1.544.181—82	თამასუქები უზრუნველყოფილი სპეც. მიმდ. ანგარიში	614.705—59
„ ბ) გრძელვადიანი	2.003.042—73	ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები	3.016 473—23
კორესპონდენტები	83.010—63	გადასაგზავნი ოპერაციები	3.818—79
გასასწორებელი ანგარიშები	102.494—69	კორესპონდენტები	1.987.759—42
ანგარიში სავაჭრო განყოფილებასთან	1.392.530—95	გასასწორებელი ანგარიშები	511.573—17
სხვადასხვა დებიტორები	6.869—22	სხვადასხვა კრედიტორები	33.510—00
ქონება და მონაწილეობა წარმოებებში	276.904—25	ანგარიშები კანტორებს შორის	1.251.247—99
ანგარიშები კანტორებს შორის	1.142.508—69	მომავალი წლის შემოსავალი	8.261—24
გასაჩივრებული თამასუქები და საეჭვო ვალები	58.201—79	მიღებული პროცენტები, კომისიები და სხვა შემოსავალი	406.556—08
გადახდილი პროცენტები	74 245—01	გაუნაწილებელი მოგება	10.861—41
მიმდინარე და სხვა ხარჯები	159.162 - 54		
	11.067.011—87		11.067.011—87

ნ. 885 1—1

გამგეობა.

ტირაჟი—24.139

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68